



ԱԲՄՊԵ ԲՈՅԹԸՆԴՐՁՈՒՍ ԺԵ
ՇԱԿԱՎԵԼԱՎԵ

Խ Ա Հ Ա Յ Ա Հ Ա Յ



1838—1913



ԱՅՐԻՄ ԲՈՅԹԸՄԴՅԱԼԻ ՀՅ

ՅԱԿԱՎԵԼՎԱԾՈ

1837—1913

115/2

Շեշտահովո և գամուցմովո. Ֆ. Վունածոսացան



Ժ Յ Ա Պ Ո Ւ Ծ

Թէղյ.-Թէղյ. Ա. Յ. Այրելուսոս, գաբանը. Ցյան. № 1-

1914

ანტონ ფერცხელაძე

რამდენ რჩეს ეუბნება ეს სახელი ჩემს მეხსიერებას! ეს უშიშარი და შეუდრეკელი რაინდი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან თავის ალაგას იდგა და ნახევარ საუკუნის განმავლობაში არც ერთხელ არ გადუჩვევნია და არ უდალატნია თავის არჩეულ პოზიციისთვის.

მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი, მჭერმეტყველი, ყოველთვის მხიარული, გაბედული, მამაცი, ცოცხალი მაგალითი იყო ქართულის გულგაუტეხელობის.

ყოველთვის სადა, მარტივი და მგრძნობიარე, ანტონი ანდამატივით იზიტავდა ახალთაობას. იმისი სახლი, ჯიბე და შეგობრულად დროზედ გაწვდენილი ხელი გზას აძლევდა მრავალ უილაჯობით გზადაბნეულ აღამიანს. იმის თჯახში, იმის კერაზედ არა ერთი წრე ქართველის ახალგზადობისა გამოიქნა და, შემზადდა საზოგილო საქმეების მომუშაველ.

დიმიტრი ყიფიანის სახლში შობართულის სალონის, ამ პირველის და უკანასკნელის ქართულის სალონის, სადაც აღიძრა; შემუშავდა და განხორციელდა წერა-კითხვის საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, სათავად-აზნაურო ბანკის მოწყობა, ქართული გიმნაზიის დაფუძნება და სხვა მრავალი საზოგადო საქმეები ჩაისახა, სულის ჩამდგმელი და შესულარებელი მესვეური ანტონი იყო. იმისი ცოცხალი სიტყვა, ენერგით სავსე შეხედულობა და ჯანსაღი, ყოველ პერიოდის მოკლებული არსება, ყოველზეის გაბედულობას აძლევდნენ ჯვრუდ გამოურკვეველ ყმაწვილ ჭაცებს. მეტადრე დიდი უძმი-

საზური მიუძღვის ანტონს ქართველ ქალთა გათვითცნობიერებაში. ის ყოველთვის მომხრე იყო ქალთა ემანიპაციისა და ენერგიულად ეხმარებოდა, მხარს აძლევდა ყველა იმათ, ვინც კი ოდნავად მაინც გამოიჩენდა რამე სურვილის მოქმედებისას, ძველებური ქართული ოჯახის რუტინის დარღვევისას. რამდენი ქალი გამოვიდა ანტონის დახმარებით და ხელის შეწყობით ქართულ სცენაზეთში რამდენმა ქალმა გაბედა რუსეთს წასვლა უმაღლეს სასწავლებელში, რამდენმა ქალმა თავს იდო საზოგადო მუშაობა ანტონის ჩაგონებით.

თავისუფალი მოაზროვნე, ბუნებით რევოლუციონერი, ანტონი თავის გარშემო ყოველთვის ავრცელებდა თავისუფლების სიყვარულს.

ყოველ კრებას, რომელსაც ანტონი დეესწრებოდა და რომელი კრებაც მოხდებოდა ორმოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენში, რომ ანტონი არ დასწრებოდა,—მას შეჰქონდა თავისი ცოცხალი სიტყვა თავისი ცეცხლებრივი ბუნების სითბო, გამჭრიახობა!

ანტონ ფურცელაძე ისე განუყრელად იყო შეერთებული ფოფელის ქართველის თვალში, ყოველ ქართულ საქმეებთან და ასეთი გულითადი და წარმტაცი წევრი აშ საზოგადოებისა, რომ დიდხანს, დიდხანს ვერ მივეჩვევით უანტონობას!

მე ჩემ მოკლე მოგონებაში არ შევეხები ფურცელაძის შწერლობის ნიჭის და სიუხვეს, მის მუდმივ ზრუნვას ბეჭდვითი სიტყვის მოწყობაში, დეე. ის გამოიკვლიოს და ფასი დასდოს მომავალმა ქართველმა კრიტაკოსმა და მიუჩინოს იმის შესაფერი ალაგი ჩვენ ლიტერატურაში; მე. მხოლოდ ალვნიშნავ მოკლედ და გაკვრით იმ საქმეებსა და საზოგადოებაზედ ზედგმვლენას, რომელსაც ანტონი იჩენდა ყოველთვის დაუღალვად და ვიტყვი გულ-ახდილად, რომ თვით საზოგადოება კი უმაღურად მოექცა ანტონს.

რასაკირველია, ყველამ იცის, ყველა გრძნობს, ყველა გლოვობს ანტონის უდროოდ დაკარგვას, ქართული საზოგა-

დოება მწუხარებით აღნიშნავს ჯერ კიდევ სიცოცხლით და ენერგიით სავსე მოღვაწის გამოკლებას და მომავალი ცხოვრების მკლევარი მაღლობით მოიხსენიებს იმის ნაშრომის სიძლიდრეს და სიუხვეს, მაგრამ გული მტკიცა, გული, ომშ მხცოვანს და დამსახურებულს მოღვაწეს სიცოცხლეშივე ქართველმა საზოგადოებამ საჯარო მაღლობის განცხადებით გული არ მოუფონა.

შუმადურობა არ შეშვენის იმ ერს, რომელიც ყველაზედ შეტად უნდა აფასებდეს იმ მოღვაწეთა სახელს, რომელთაც იკისრეს და ჩინებულად შეასრულეს მეცხრავეტე საუკუნის შეორე ნახევარში ჩვენი ეროვნული მიმკვდარებული მაჯის ცემის აღდგინება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი კეთილო, შეგობარო და წარჩინებულო მამულიშვილო ანტონ!

ეპ. გაბაშვილისა.

„აქლდე“, 10 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძე

მესამოცე წლების მოღვაწეთა ისედაც მიწურულ თაობას კიდევ გამოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი. ანტონი მხოლოდ თავისი ასაკით, ხნით ეკუთვნოდა ამ თაობას, ისე კი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მის წარმომადგენელთა შორის. ამ ეპოქის ჩვენი მოღვაწეები, თითო-ოროლის გამოკლებით, ჟიდი გვარიშვილები იყვნენ, რამაც, რა თქმა, უნდა, თავისი ბეჭედი დასვა მათ მწერლობასა და მოღვაწეობას. ზოგი მათგანი მხოლოდ ვიწრო წოდებრივ ინტერესებს ემსახურებოდა, ზოგი კი სიტყვით ლიბერალობდა, დემოკრატობდა, ხოლო საქმით ან ნაკლებ ან სულ არ ამართლებდა თავის მაღალ-ფრაზოვან სიტყვებს. იმათი, მოღვაწეობა საზოგადოთ ორქოფრა და მიხვეულ-მოხვეული იყო.

ანტონი კი, ღარიბი აზნაურის შვილი, ბედისა და გარემოებისაგან პატარაობიდანვე დაჩაგრული, თავიდანვე ერთ განსაზღვრულ გზას დაადგა, რომლიდანაც არ გადუხვევია თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. ეს გზა იყო ჩარ-ეკლით შოთენილი გზა უღრევი დემოკრატიისა, უბედურმა შემთხვევამ (კადეტთა კორპუსის მოსამზადებელ კლასში ყოფნის დროს ფეხი შოიტეხა, სამუდამოთ დაკოჭლდა და იძულებული შეიქმნა სამხედრო სამსახურისთვის მომზადებაზე ხელი აეღო). ის შეოლას ჩამოაშორა და მისი ძალლონის ანაბარათ დატოვა-ერთი ჭირი ზოგჯერ მარგებელიაო, — ნათქვამია და ეს სწორებ განსვენებულ ანტონზე ითქმის. ვინ იცის, თუ რა იქნებოდა ანტონი, მას რომ განეცადა სამხედრო შეოლის დამამახინჯებელი წრთვნა-წვალება, რომ ის სამხედრო პირი გამოსულიყო. შეოლიდან გამოსული ანტონი თვითონვე ჰკიდებს ხელს.

თავის განვითრების საქმეს. ის ჯერ სოფელში ემზადება, ხოლო შემდეგ თფილისში. ის საკუთარი ძალაონით იკაფავს გზას, ეჩვევა თავისუფალს და დამოუკიდებელ მუშაობას. როგორც მწყურვალი ადამიანი ცივ წყაროს ისე ეწაფება. ანტონი ჩერნიშვილის, პისარევის, ლობროლიუბოვის და სხვა მოწინავე მწერალთა ნაწერებს, ითვისებს იმათ მსოფლ-მხედველობას. ამ ესრეო-წოდებულ განმანათლებელთა მსოფლ-მხედველობა იმ დროს რუსეთში უბადლო და შეუდარებელი იყო. მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება, მისი ამოძრავება, მის მონაბისაგან გათვისუფლება — აი რა ეწერა იმათ დროშაზე. და ანტონიც ამ დროშას იჭერს ხელში და გამოდის სამოქმედოთ წყვდიადით მოცულ სამშობლო მხარეში. აქ მას ზვდებიან მისი ტოლნი. მისი თაობის მოღვაწეები. ანტონი როგორც გულწრფელი დემოკრატი, არა თუ არ უერთდება ამ ორჭოფა მოლიბერალო ინტელიგენტთა ჯგუფს, არამედ სასტიკ ამსაც უცხადებს მას, მაგალითათ. პოლემიკას ეწევა ჟურნალ „მნა-თობილან“ ბ. ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ, რომელიც ერთი უნიჭიერესთაგანი იყო იმ დროის მოღვაწეთა შორის. ამნაირათ უტოლ-უამხანაგოთ დარჩენილი. გაორკეცებული ენერ-გით და თავდავიწყებით ემსახურება თავის მიზანს.

სამწერლო ასპარეზზე ანტონი უპირველეს ყოვლისა გვისურათებს გლეხის დაჩაგრულსა და დაბეჩავებულ ცხოვრებას, გვიხატავს მის მყვლეფელებსა და სისხლის მწოვრებს (მოთხრობა: „მართა“ 1865 წ. და „ქიტესა“ 1871 წ.),

როგორც დემოკრატი, ანტონი სწავლობს, და იკვლევს ჩვენთა მეფეთა და დიდებულთა მართვა-გამგეობის და ზნე-ჩვეულებათა ქვეყნისათვის მავნესა და დამღუპველ გავლენას და სწერს მათზე სატირას: „ბაგრატიონთა დიდება“.

ანტონის გულს ძლიერათ ატოკებდა ხოლმე მშრომელი ხალხის მხაგვრელთა წინააღმდეგ ამოძრავება, საღაც უნდა მომხდარიყო ეს. ის ისეთ მოძრაობაში მონაწილეობას ლებუ-ლობს; თუ ფიზიკურათ ვერა, სულიერათ მაინც. ამით უნდა

აიხსნას ის, რომ მისი მოთხრობის „ვი მართალთა“-ს გმირი, მიხეილ ზაქარიას ძე, ბარიკადაზე კვდება პარიჟში; კომუნის დროს.

განსვენებული თვალ-ყურს ადევნებდა ყოველ ახალ მოვლენას, ყოველ ახალ აზრს მსოფლიო ლიტერატურასა და მეცნიერებაში. მაშინვე გააცნობდა ხოლმე ჩვენს საზოგადოებას და თან გაუზიარებდა თავის აზრსაც. როცა პირველათ დაიბეჭდა ბოკლის შესანიშნავი წიგნის „ცივილიზაცია ინგლისში“, რუსული თარგმანი. ჩვენში მხოლოდ ანტონმა გაირჩია ის „მნათობის“ ფურცლებზე.

ასეთივე დაუღალავი იყო ანტონი პრაქტიკულ ასპარეზ-ზედაც. ის ხედავდა, რომ ჩვენში ახალგაზღობის აღზრდა-სწავლის საქმე აბუჩად იყო აგდებული და უკულმართად წარმოებდა, ხედავდა, რომ უსამართლო სამართალი ხალხს სტანჯავდა და აწვალებდა, რომ ხალხის მეურნეობა იღუპებოდა და სხვა, ამიტომ ის სიტყვიერათ და წერითაც ქადაგებდა შკოლებში ქართულათ სწავლებას, ნაფიც მსაჯულთა და ერობის ინსტიტუტის შემოღების საჭიროებას.

მესამოცე წლების მიწურულში ანტონის შეთაურობით შედგა ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც დასახული პქონდა თვით-განვითარება. შემდეგ ეს ჯგუფი დაედვა საფუძვლათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ თეატრს. ასეთსავე სათვით განვითარებულ ჯგუფს ვხედავთ ანტონის სახლში შემდეგაც. მაგალითად 1884—85 წწ. ამ ჯგუფში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვათა შორის თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ნიც, რომელთაგან უმეტესობა დემოკრატიისათვის თავდადებული მოღვაწენიც გამოვიდნენ.

განსვენებულს პირადი ნაცნობობა პქონდა თბილისის წვრილ ხელოსნებთან და ქარგლებთან, რომელთა შორის ვრცელდებოდა. ანტონის ნაწერები..

ამნაირათ, განსვენებული ანტონი ერთათ-ერთი თუ არა, ერთი უშესანიშნავესი მამათ-მთავარი იყო უკვე გათვითცნობიერებულის და შეკავშირებული დემოკრატიისა.

დღეს ჩვენ გვერდს ვუვლით მის მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას, რომელსაც მომავალი დააფასებს, და ხახს გაუსვამთ მის მნიშვნელობას ჩვენში დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმეში. მისი ხსოვნა მუდამ ძვირფასი და უკვდავი იქნება დემოკრატიისათვის.

ანტონმა თავისი თვალით იხილა მისი იდეების გამარჯვება თუ მთლათ არა. სანახევროთ მაინც. ის ჩავიდა საფლავში იმ ღრმა რწმენით, რომ მებრძოლი დემოკრატიის ტალღები წალექს. გადალახავს ყველა დაბრკოლებას, გაჰქანს და განააღმებს დახავსებულ ქვეყანას.

ჭალარა.

„ფიქრი“ 11 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძე

მეტათ სამწუხარო ამბავი გვამცნო დეპეშამ. 5 ნოემბერს, ს. არბოში (ცხინვალის რაიონი) გარდაიცვალა ჩვენი მხცოვანი მწერალი ანტონ ფურცელაძე. ის უკვე 74 წლის მოხუცი, ჯერ კიდევ მხნეთ გამოიყურებოდა და აღფრთოვანებული იმედით შეყურებდა ჩვენი დემოკრატიის აღორძინებას. ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი კარგად იცნობდა ანტონს, როგორც ჩვენი თანამედროვე კულტურის ერთ მოამაგეს და არც არაოდეს არ დაივიწყებს მის ლვაწლს. დღეს ის გულწრფელ ლრმა მწუხარებას გამოთქვამს მისი დაკარგვის გამო და გლოვობს მას.

ვინ იყო ანტონი ან რა გააკეთა მან? ის იყო ქართლელი აზნაურის შვილი, რომელმაც განათლება დაიწყო რუსეთში, კადეტთა კორპუსში მას უბედურება შეემთხვა: გიმნასტიურ ვარჯიშობის დროს ფეხი იტკინა; მისი მოშავალი ბედიც ამ გარემოებაში განისაზღვრა. მან ზურვიაჟურისა სამხედრო კარიერას და თვითგანვითარებას დიდი ენერგიით და გატაცებით შეუდგა; იმავე დროს მან ზედმიწევნით შეისწავლა ქართული მწიგნობრობა, ქართველთა წარსული და თანამედროვე ცხოვრება და თავდავიწყებით შეუდგა ქართული მწერლობის სამსახურს. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ის ხელიგაზღური გატაცებით მიემხრო მაშინ ახლათ გამოცემულ ქართულ ქურნალს, იქანეკერესელიძის „ცისკარს“, რომელიც ჩუმი ოპოზიციაში ედგა ჩვენებურ-არისტოკრატიას. ანტონი ჯერ სხვადასხვა ფსევდონიმებით გამოდიოდა ამ არისტოკრატების, თავად-აზნაურობის.

წინააღმდეგ ვიდრე ბატონიშვილი გადავარდებოდა ჩვენში (1858 – 55 წ.). შემდეგ კი ის აშკარათ გამოვიდა ასპარეზზე და სამკუდრო-სასიცოცხლო პრძოლა გამოუტადა „ძველ საქართველოს“. მის „მაღალ საზოგადოებას“ და სულით და ვულით შეუდგა ქართველი დემოკრატიის კულტურულ აღორძინების საქმეს. მას ღრმათ და მტკიცეთ ქონდა შეთვისებულ შესწავლილი მაშინდელ რუსეთის შესანიშნავ მწერალ-პუბლიცისტის დიმიტრი პისარევის მსოფლ მხედველობა და აგრეთვე იმ, დროის პოლიტიკურ-ეკონომიკური სწავლა-მოძღვრება. ის იყო მიმართულებით რაციონალისტი, პისარევის მიმდევარი და მაშასადამე გონების და ცოდნის უაღრესობას აღიარებდა. ამიტომ ის თავიდანვე ქართველ ხალხში მეცნიერული ცოდნის და კულტურული ზნე-ჩვეულების გავრცელებას შეუდგა. ამ მიზნიდ საშვალებით კი მან პუბლიცისტური და სიტყვაკაზმული მწერლობა დასახა; და ის ძიდეც შეუდგა ის გასაყარი ენერგიით თავის გეგმის სისრულეში მოყვანას. არ არის სამწერლო დარგი, რომ ანტონს იქ თავისი კალამი არ გამოეცადოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს. ის იყო პულიცისტი, იყო პოპულიარიზატორი, პოეტი (მოენიძის ფსევდონიმი), ბელეტ-რისტი, დრამატურგი და ისტორიკოსი. ყველა მისი თანამედროვე მწერლობიდან ის ამით კი არ განსხვავდება; იმ დროს საზოგადოთ მწერალი მოღვაწე ყველა სამწერლო დარგებში გამოდიოდა და ანტონიც ასე მოიქცა, აქ საყურადღებო და ალსანიშნავია ის, რომ ანტონმა გადაჭრით გაწყვიტა კავშირი ჩვენ მაღალ საზოგადოებასთან, არისტოკრატიასთან და მათი გამომხატველ მწერლებთან და თავის მიზნათ დაისახა „მდაბიო ხალხის“ დემოკრატიის სამსახური. ის ამ მხრით აშკარათ დაუპირადაპირდა ყველა ჩვენს მაშინდელ ეგრეთ წოდებულ მესამოცე წლების მოღვაწეებს (ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სხვები), რომელთა წინააღმდეგ მას მკაცრი პოლემიკა ქონდა გამართული; მან ამ მიზნით საკუთარი უურნალიც დაარსა, სახელათ „მნათობი“, შემდეგ კიდევ

მეოთხმოცვე წლებში, „თეატრი“. ის იყო გულწრფელი რადი-
კალ-დემოკრატი. რომელიც რწმენით რუსეთის ნაროდნიკებს
უახლოვდებოდა. ამას მოწმობს პირველი მისი ბელეტრისტუ-
ლი ნაწერი „სამის თავგადასავალი“, რომელშიაც კარგათ
არის დახატული რადიკალი ინტელიგენტის ტიპი. ანტონი
მდაბიო ხალხს კარგად იცნობდა და ეს მან კიდეც გამოხატა-
ორ მხატვრულ ნაწარმოებში ტრაგედია „ავაზაკები“, და პატა-
რა მოთხოვნა „ჭირესა“. პირველში მოგვცა მან სურათი
ჩვენი შთავარი ქალაქის თფილისის ხალხის ცხოვრებისა, ხო-
ლო მეორეში გაღატაკებული ქართლელი გლეხის. ამიტომაც
ის მდაბიო მკითხველმა შეიყვარა; არ მოიპოვება ისეთი ქარ-
თველი მდაბიო მკითხველი, რომ ანტონის „ავაზაკებს“ და
„დიდ მოურავს“ არ იცნობდეს. ბევრი ტფილისელი შეგნე-
შული მუშა, რომლებიც შემდეგში ჩვენებურ მუშათა მოძრაო-
ბას სათავეში ჩაუდგა, ანტონის ზემოხსენებული ნაწერებით
აღმართდა. ამ ნაწერებმა ხელი შეუწყო მათი პროტესტანტუ-
ლი, მებრძოლი სულის კვეთების გაღვივებას და ცხოვრებაში
ჩაახედა. დიდია ამ მხრით ანტონის ღვაწლი, რომელიც ჯერ
არ დაფასებული ჩვენს მწერლობაში. მას არ დაივიწყებს ქარ-
თველი მუშა ხალხი. დადგება ღრუ, რომ მას საპატიო ად-
გილს მისცემენ, ძეგლს აუგებს მას თავის გულში ქართველი
დემოკრატია, დევ მარადის პატივისცემით ისენიებოდეს ქარ-
თველთა შორის მისი სახელი.

. ქ. ლ.

„შერცხალი“, 7 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძის დაკრძალვის დღე

საკვირველია ჩვენი ბედი! ძველნი მომაგენი, ქვეყნის ჭირისუფალნი ხელიდან გვეცლებიან, ხოლო მათ ნაცვლათ ახლებს ჯერ ვერსად ვხედავთ. ჩვენ ლრმათ გვწამს, რომ ქვეყანა, ერი მაინც წინ მიდის, მას ახალი ძალები ემატება, რომ ახალი ძველს უსწრობს, რომ შვილი მამას სჯობნის. ეს არის საზოგადო კანონი ერის განვითარებისა ნორმალურ პირობებში და ამ კანონს ჩვენც ვემორჩილებით. მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცით, რომ ისტორია მიხვეულ-მოხვეული გზით მსვლელობს, რომ ერის ცხოვრებაში მუდმივს შეუჩერებელ პროგრესს ხშირათ აღვილი არ აქვს, რომ ხშირათ ერის წარმატება ერთ წერტილზე ყინდება ან, კიდევ უარესი, უკან იხევს და ეს ხდება ნამეტურ მაშინ, თუ ქვეყნის განვითარება არა-ჩვეულებრივ პირობებში მოქცეულა.

და აი თითქმ ამ მრუდე ხაზზე დამდგარა ქართველი ერის ზღა-განვითარება. უკან თუ არ ვიხევით, წინ მაინც ისეთი კუს ნაბიჯით მივდივართ, რომ შიში გვიპყრობს—ვაი, თუ ჩვენზე უფრო კულტურით მძლავრმა ან მთლათ გვშთანთქას, ან მხოლოდ საბრალო, უარარაო და უფერული სიცოცხლე და შეგვარჩინოს.

ჩვენს ცხოვრებას რომ ვაკვირდებით, დიახ, ვამბობთ, რომ ძველის ნაცვლათ ისეთი ახალი არსად არის, რომვლსაც შეეძლოს რჩეულს, თავდადებულ მამათა ნამოლვაწევ-ნაამაგარს ღირსეულათ გაუძლვეს და სრულყოს, თუ თითო-ოროლო ბრწყინვალე გამონაკლისს მხედველობაში არ მივიღებთ.

ა, ისიც, ვისაც დღეს უკანასკნელათ ვეთხოვებიო, განა
ფრთი იმ რჩეული, თავდადებული მოღეაწეთაგანი არ იყო,
რომელთაც შშრომელი ერის ჭირი და ლხენა პირად ჭირათა
და ლხენათ აჩნდათ, რომელთაც თუ ბეჭდვითი სიტყვითა თუ
მოქმედებით ერის მდარე, გაუკულმართებულ ცხოვრებაში
ახალი სიტყვა, ახალი აზრი, შეიტანეს? მერე ვინდა დაგვრჩ
საზოგადოების ამ იშვიათ ჭირისუფალთა მცირე და მჭიდრო
გუნდიდან? ან ვინ გასწევს მათ მაგიერობას? ან ვინ იგრძნობს
ჰათებურ ერის სატკივარს, ვინ მოსწმენდს თვალთაგან ცხარე
ცრემლს იმ ერს, რომელიც აგერ რამდემი ხანია მოდის და
მოსტირის თავის ბედკრულ ყოფებს? ვინ ჩაუსახავს ხალხს იმედს
გამარჯვებისას, კვლავ აღდგენისას. ხალხს გულგატეხილს,
სასომიხდილს, უიმედოს? ვინ ეტყვის ბეხივს მხნე, მრგვინავ
სიტყვას, ვინ შეუკრთობს ძილს, ვინ უმღერს ისე ტკბილათ,
როგორც სამოციანთა მჭიდრო ოჯახი?

ახლათ განსვენებული ანტონ ფურცელაძე ვმ ოჯახის
ერთი თვალსაჩინო ძალა, ერთი დაუღალავი, მხნე ერთგული
შუშაკი იყო თუ კალმითა და თუ პრაკტიკული მოქმედებითა.
ღრმა სიბერეშიც კი მას შერჩა ის ახალგაზღური სულის სიახ-
ლე და აღმაფრენა, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი
ძველი თაობისა, სიკვდილამდის თავს დასტრიალობდა
ჩვენს მწერლობისა და საზოგადო საქმეებს. არ დაგვავიწყდება,
ჯერ კიდევ შარშან ამ ღროს რა აღტაცებით გვესაუბრებოდა
მთელს დიდ კრებას ჭუბაისში, რომელიც მანვე შეკრიბა. ჩმ
მიშნით; რომ რაიმე ზომები მიგველო უმიწურებულო ბოგანო
გლეხთა და საზოგადოთ მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯო-
ბესებლათ! ჩას არ გვირჩევდა, რა პლანებს არ აწყობდა ბედა
შევთა აუტანელი ყოფის ზუნდ ღღნავ შესამსუბუქებლათ!

საზოგადოთ უნდა ვსოჭვათ, რომ განსვენებული ანტონის
ნაწერები რომ გადაიკითხოთ, იქ ცხადათ და უდიშვასმით ერთ
ტენდენციას შეამჩნევთ — ინტერესს სოციალური საკთხისადმის
განსაკუთრებულ ყურადღებას მშრომელთადმი, დემოკრატიულ-

სოციალისტური ანალიზის ცდას ამ საკითხისას. მართალია, მის კვლევა-ძიებას ამ სფეროში თავსიებური ელფერი ქონდა, მაგრამ აღსანიშნავი და საყურადღებო ის არის, რომ აქ ანტონ ფურცელაძე თითქმის მარტოდ მარტო იყო მისი დროის ლიბერალ მწერალ-მოღვაწეთა წრეში.

აი, რა მხარე ამკობს უმეტესათ განსვენებულის ნაყოფიერს საზოგადოებრივ-სამრეწველო მოღვაწეობას! ხალხს, რომელიც ბედისაგან გალაღებული იქ არის, არის დროს არ დავიწყდება ის მოამაგე, რომლის ფიქრსა, აზრსა, მზრუნველობას საგნათ მუდამ ამ ხალხის სვებდი ქონდა აღებული.

ანტონიც ასეთი იყო. ბევრი მწარე, მკაცრი გაუგონიათ მის ბაგეთაგან წარჩინებულთა, ძლიერთა და მაღალთა ამა ქვეყნისთა „უმტროს“ ძმათ დასაცავათ, მარ გადალახულ უფლებათა გამოსარჩევების მიზნით.

არა შეირედი ნიჭისა და დიდი ენერგიის პატრონმა, მან ღრმა კვალი დასტოვა ჩვენი ეროვნული აღორძინებისა და კულტურული ზრდის საქმეში. მრავალფეროვანი იყო მისი მწერლობითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა: პუბლიცის. ტიკა, პოეზია, დრამა. ისტორია, ბანკი, თეატრი, წერა-კითხვის საზოგადოება და სხ. — ვველგან. ცუკველ დარგში ანტონს თავის წვლილი შექონდა, ყველგან სულითა და გულით მოსურნე იყო საზოგადო საქმის გამარჯვება-წარმატებისა, და ასეთმა ხალხის მოკეთემ აი ხალხის სიყვარულიც შორშვევი.

დღეს მთელ ქართველ საზოგადოებაში დიდი გლოცის ზარია, ყოველი შეგნებული და გულშემატკიცარი ქართველი სტირის მას, როგორც ერთგულ მომავალს უზრისას, კულგორც საყვარელი სამშობლოს დარღვეს.

ასევე ეტარება შენ, დაუვიწყარო ანტონ, რომ ქვეყნის წინა შე მოვალეობა აგრე პირნათლაო მოიხადეს.

ასეუდ ფირი ერთ შემთხვევაში გრ. გველესიანი მოიხადეს. ასეუდ მოიხადეს ქანკო „ერი“. 9 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძის ხსოვნა.

1889 წლ. ზაფხულის ერთს მშვენიერ დღეს ანტონს მის საკუთარ ოჯახში (ს. არბო) ვეწვიე.

ყმაწვილი ვიყავი. მას კი, თუმცა თმა გაჭალარებულს, ჯერ კიდევ მხნე, ჭაბუკისებური სახის მეტყველობა და მიხვრა-მოხვრა ქონდა.

მის სახეზე იხატებოდა დიდი ენერგია და გულკეთილობა, ერთად შეზავებული.

მისმა მიშჩიდველმა სახემ და ტკბილმა საუბარმა მომხიბლა.

პირველათ მნახა და მაშინვე შევუყვარდი, როგორც შვილი მამას. თავისი გულის პასუხი გადამიშალა, გამიზიარა. და ნას შემდეგ მეგობრები ვიყავით.

ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება, იმან რომ მაშინ გიორგი სააკაძის ამბავი მიამბო: რა ენერგიით, რა მჭერმეტ-შველებითა და გრძნობით ილაპარაკა მთელი ორი საათის განმავლობაში! მისი ლაპარაკი შადრევანს, უკეთ ვსოჭვათ, მორაკრაკე წყაროს მაგონებდა. დიახ! მას უყვარდა გიორგი სააკაძე, როგორც იდეალური გმირი, დამცველი საქართველოს არსებობისა.

ანტონ ფურცელაძე მთლიანი პიროინება იყო.

მას დიდი ღვაწლი მიუძლვის ქართული ლიტერატურის წინაშე: გიორგი სააკაძის ისტორიას გარდა რომ არაფერი დაეწერა, მაინც უკდავი იქნებოდა მისი სახელი. იმავ დროს ის პრაკტიკული საზოგადო მოღვაწეცი იყო, არც ჰირად ბედნიერებას გაურბოდა.

ის არ გავდა ზოგიერთ ინტელიგენტს, რომელსაც მუდაშ

უტირის ცხვირ-პირი. პირიქით, უყვარდა ცხოვრება, სვამდა
სიცოცხლის ტკბილ ნეკტარსაც.

დარბაისლობასთან ერთად მას მხიარული ხასიათიც ამკობდა. და გამხნევებული იყო მეგობრის ჭირშიც და ლხინშიც.

დრო არ არის ჯერ მისი ლიტერატურული ღვაწლის დაფასებისა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ანტონ ფურცელაძე ოვალსაჩინო ადგილს დაიჭირს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერალთა შორის.

საუკუნო იუოს ხსენება შენი, ძვირფასო მასწავლებელთ და დაუვიწყარო მეგობარო. ქართველი ერი არ დაივიწყებს შენს სახელს.

გასილ წერეთელი.

„ერი“, 7 ნოემბერი, 1912 წ.



ანტონ ფურცელაძე.

მესამოცეთა ბრწყინვალე გუნდი, რომელმაც დაუფასებელი ამაგი დასდგა, მშობელი ერის გამოღვიძებას. რომელმაც პირველათ ჩვენში აღამაღლა ბეჯითად ხმა ერის დაჩაგრული ნაწილის საქომაგოთ, რომლის დროშაზეც ადამიანის უფლება უ მოქალაქობა ეწერა, ის გუნდი, რომელმაც შექმნა მთელი დიადი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ამ ბოლო წლებში დღითიდღე მცირდება. მათვან თითო-ოროლა თუდა დარჩა. აღარა გვყავს საქართველოს ტანჯული სული, დიდი ილია, სიცოცხლეს გამოესალმენ ი. გოგებაშვილიკ ცხვედაძე, ღოლობერიძე და დღეს განისვენა ერთმა თვალსაჩინომაც მათ შორის—ანტონ ფურცელაძემ. დიდია განსვენებულის ღვაწლი, აურაცხელია მისი ნაშრომი. ასე ადვილათ მისი საქმენი არ დაფასდება. ანტონი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც მცირედ ჯგუფს ყოველგვარ, საზოგადო საქმეში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ჯერ დღესაც არ მომხდარა ჩვენში ისეთი დიფერენციაცია, რომ თითოეული განსაზღვრულ, ერთს რომელიმე საქმეს უწევდეს ხელმძღვანელობას, მარტოდენ მას სწირავდეს თავის ძალლონეს და თუ ასეა ჰდეს, რაღა უნდა ყოფილიყო ორმოცდა ათი წლის წინათ, როცა საქვეყნო მუშათა რიცხვი თითებზე დაითვლებოდა.

ანტონი მხურვალე მონაწილეობას იღებს კერძესელიძის „ცისკარში“, ათავსებს იქ კრიტიკულსა და საპოლემიკო წერიალებს, სწერს ლექსებს. შემდეგ მას ვხედავთ სხვადასხვა ფსევდონიმით „მნათობში“, „იმედში“; სწერდა აგრეთვე გაზეთ „ივერიაში“ და ფფილისის რესულ პერიოდულ გამოცემებში.

მის კალამს ეკუთნის ბელეტრისტიული ნაწარმოები „მაცი-ხვი-ტია“, პოემები; „თამარ-ლაზნელი“, „მარაბდა“, „ბაგრა-ტიონთა დიჟება“, „ცისკარა“; დარმატიული ნაწარმოები: „ავაზაკები“, „ასული, ისრაელისა“, „დიდი მოურავი“. განსვენებულს მიუძღვის განსაკუთრებული ღვაწლი საქართვე-ლოს მეჩვიდმეტე საუკუნის გმირის გიორგი სააკაძის პიროვნე-ბის გაშუქებაში. ამ შესანიშნავი გმირის გარშემო შეიქმნა ლეგენდებით—თითქოს მას სამშობლოსთვის ელალატოს, საქარ-თველოში სპარისელების ჯარი შემოეყვანოს, ქართლ-კახელებსა და იმერლებს შორის ოში გაეჩაღებათ და, ვინ იცის კიდევ რამდენს ასეთს რასმე არ მოჭორავს შურით დაბრმავებული მტრობა. ანტონ ფურცელაძემ მიჰყო ხელი ამ საბედისწერო ჩანის გამოკვლევას და აღმოჩნდა, რომ დიდი მოურავი იმ დროში ერთადერთი კაცი ყოფილა, რომელიც თავის ბუმბე-რაზულ არსებაში ატარებდა ფეოდალიზმის შემუსვრისა და საქართველოს გაერთიანების სურვილს. მან სამჯერ იხსნა სა-ქართველო შაჰაბაზის ჯოჯოხეთური პლანის განხორციელები-დან. ეს პლანი მოსპობას უქადა ქართველობას. დიახ, დიდი და საყურადღებო გამოკვლევაა განსვენებულის შრომა— „ბრძოლა საქართველოს მოსასპობლათ, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. მაგრამ რომელი ერთი აღვნიშნოთ მისი ნა-შრომისა თამამათ შევიძლია ვსთქვათ, რომ ამ სამოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი დიდი საზოგადო საქმე, მწერლობა, ბანკი, თეატრი, თუ სხვა რამე, რომ განსვენებულს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო.

საგიმნასტიკო ვარჯიშობის დროს სამხედრო ლიცეიში კიბიდან გადმოვარდა და ფეხი მოსტყდა. ამან გადასწყვიტა მისი ბედი:—იძულებული იყო ლიცეისთვის თავი დაენებებია. იგი შეუღვა თვითგანვითარებას და ჩვენ ვხედავთ, რომ პირა-დი ენერგიითა და შრომის წყალობით ანტონი ერთი საკმაოთ განვითარებული კაცი იყო ჩვენში. შესწავლილი ქონდა ეკო-ნომიური-ფინანსიური მეცნიერება და სიცოცხლის უკანასკნელ

წუთამდი დაუდგრომელ მუშაობაში იყო. ჩვენმა საზოგადოებრივობის მკვლევარმა, აწ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ ცალკე მონოგრაფია უძღვნა მას და ლირსეული ადგილიც მიუჩინა ქართველ მესამოცეთა შორის. მომავალი მკვლევარნიც ვერ აუვლიან გვერდს ამ პიროვნებას, როცა ჩვენი ახლო წარსულის განხილვას შეუდგებიან. ცხადია, ქართველობამ დიდი კაცი დაკარგა. მოკვდა ანტონ ფურცელაძე, მაგრამ უკვდავია ის ამაგი, რომელიც მან სამშობლო ქვეყანას დასდვა. სხვა მესამოციანებთან ერთად იგიც იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

„ერი“, 6 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძე

(მოგნება)

მატარებელი სწრაფათ მიმაქანებდა ქართლის მინდვრებზე. პირველათ ვმზერდი ამ ტურფა ბუნებას, ვრცელ ხოდაბუჩებს ქორფა ჯეჯილით მობიბინარეს, ციხე-კოშკებით შემკულ მწვანე გორაკებსა და იქ, შორს სპეტაკი თოვლით მოსილს კავკასიონის მაღალ მთებს. გულს ავსებდა ნეტარებით ეს მშვენიერი სანახაობა. შევტრიფოდი ამ საოცნებო სტრატებს და რაღაც სიამაყე ავსებდა ჩემს არსებას. ოცნება გაშორებოდა შავბნელ სინამდვილეს, უნებლიერ მიქროდა შორს წარსულ საუკუნეთა სფეროში; იქ, როცა ქართველი იყო ღიალი და თავისუფალი და გარს ევლებოდა ღიდებულ დავითს, ბრწყინვალე თამარს, უკვდავ გენიოსს. შოთა რუსთველსა და გმირთა-გმირს გიორგი სააკაძეს...

ჩემს თვალშინ აიმართა უზარმაზარი ციხე გორიზათ მდგარი მაღლა გორაკზე; ცოტა ხანიც და გაჩერდა მატარებელი. ეს იყო გორი:

ვიღაც მოხუცი ევროპიულათ ჩატული შემოვიდა კუპეში და დაიკავა ადგილი ჩემს პირდაპირ. მომეწონა მისი გამომეტ-ჭველი სახე. ფართო შუბლი და ენერგიით სავსე თვალები. ცოტა ხანიც და ჩვენც გავაბრთ საუბარი. მოხუცი ჭაბუკური გატაცებით მეკამათებოდა საქართველოს აწყმო-წარსულზე, ჩვენსა და უცხოეთის. მწერლობაზე, რუსეთ-ევროპისა და აზია-ამერიკის ყოფა-ცხოვრებაზე. ჩვენი ცხარე კამათი გადადიოდა ერთი საგნიდან მეორეზე. აღტაცებაში შოვყავდი მის მსჯელობას, ფხიზელ შეხედულებას და ერუდიციას. უნებლიერ შემიყვარდა ეს. ჭაბუკი-მოხუცი, მისი კამათის მხურვალე, გატა-

ცებული კილო, მისი თამაში და ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურესი აზრები, მსურდა გამეგო მისი ვინაობა, მაგრამ, ამ ცხარე ბასის დროს ვერ ვუძედავდი კითხვას:

მატარებელი კი მიქროდა..., აპა, მცხეთაც. „სავანე გმირთა, ღიღი აკლდამა, ღიღი „ცხოვრების“! აპა, ავჭალა თავისი აგარაკებით! ბოლოს დავინახე თფილისიც თავისი დიდუბით, მუშტაილით, მამადავითით, თფლისი, რომელიც მრავალჯერ შეღებილა ქართველის სისხლით, რომლის გულშიც მარჩია ისტორია ივერიისა...

აქ შევსწყვიტეთ კამათი. გამოსალმების დროს გავეცანით ერთმანეთს. **ანტონ ფურცელაძე** ვარო, მითხრა მოხუცმალიმილით, ქართული გულახდილობით მიმიპატიუა შინ და მომცა ადრესი. ამიტაცა სიხარულმა. გავეცანი ქართველ მწერალს და მოლვაწეს, გავეცანი „მაცი-ხვიტიას“, „თამარ ლაზნელისა“ და „დიდი მოურავის“ ავტორს. მიხაროდა ეს მოულოდნელი გაცნობა.

მეორე დღეს მივედი ანტონთან პანასევის ქუჩაზე; იქ გავიცანი მისი ცოლშვილი; იქვე გავიცანი ჩვენი სახელოვანი მოლვაწენი: **ურბნელი**. იაკობ გოგებაშვილი. ნიკო ცხვედაძე და ჩვენი დიდი მწერალი ტანჯულ-წამებული ილია ჭავჭავაძე...

სამსახურის გამო დავრჩი თფილისში ორ წელიწადს.

ანტონ ფურცელაძე ამ დროს იყო დამფასებლათ სააწნაურო ბანკში და ითვლებოდა ილიას მომხრეთ. ეს გულუხვი ქართველი ხშირათ პატიუობდა სადილ-ვახშამზე ქართველ მწერლებს, სადაც ვესწრებოდი მეც და სადაც იმართებოდა ცხარე კამათი ჩვენს საჭირობოროტო კითხვებზე. ჩემი ცხოვრების ერთ საუკეთესო ფურცლათ დარჩება ეს ხანა, ეს დრო თფილისში ყოფნისა. ანტონის წყალობით მე გავეცანი და დავუახლოვდი თფილისში ჩვენს საუკეთესო მწერლებსა და მოლვაწეებს, გავეცანი ქართლის ინტელიგენციას. ასეთ ქომაზობას უწევდა ანტონი ბევრს ჩემისთან ახალგაზდას, მეტადრე დასავლეთ საქართველოდან მოსულო.

ჩვენი შეგობრობა უფრო განმტკიცდა ევროპიდან ჩემს ჩამოსვლის შემდეგ. ამ ბოლო წლებში ანტონმა შეიყვარა ქუთაისი და ზამთარში მთელი ოვეობით რჩებოდა აქ თავის შვილთან. სასიამოვნო იყო ამ მოხუცთან კამათი. მიუხედავათ თვისი სნეულობისა და 75 წლისა, ეს სიმპატიური მოხუცი ახლაც დიდი ხალისითა და ჭაბუკური გატაცებით დაგიწყებდა კამათს სხვადასხვა სერიოზულ საკითხზე. სს არ ცხრებოდა, მას იტაცებდა მაღალი საგნები, ქვეყნისა და ერის ჭირ-ვარამი, რასაც ასე გატაცებით ტლტვიან ჩვენი მესამოცე წლების მოლვაწენი.

ღარიბი აზნაურის შვილი ანტონი შეყავთ სამხედრო ლიცეიში, სადაც თამაშობის დროს ტყდება ფეხი და იძულებული ხდება დაანებოს თავი სწავლას მესამე კლასიდან. მაგრამ ის არ ეცემა სულით, არ გარბის სოფლათ, როგორც მისი ამხანაგები, ეს ღარიბი ახალგაზდა რჩება ქალაქში, ითმენს შიმშილს, წყურვილს, სიცივესა და ყოველგვარ გაჭირებას, ეწაფება წიგნებს და თითქმის მარტო მარტო, სხვის დაუხმარებლათ ივითარებს გონებასა და იღებს განათლებას. გაჭირება, შიმშილი, სილარიბე, უმწეობა აფოლადებს ამ ჭაბუკის სულსა და ხასიათს.

აი რა უნდა დაფასდეს ყველაზე უფრო! ანტონ ფურცელაძის მიმართულება რადიკალურია; იგია მემარცხენე, სულითა და გულით ეროვნულ-დემოკრატი. ის მშრომელი ხალხის მოტრფიალეა, ხალხის ქეთილდღეობის მომხრე და იმავე დროს იგია ქართველი ერის თვითცნობიერებისა და კულტურის მატარებელი. მას უყვარს სამშობლო, უყვარს ქართველი ერი უზენაესი გრძნობით, იცავს და ემსახურება მის ინტერესებს, მაგრამ იმავე დროს იგი არ არის ვიწრო შოვინისტი; უყვარს ქართველი გლეხი, ტეტია ქალამნებით. მაგრამ ამავე დროს უყვარს სხვა ერთა გლეხნიც, როგორც ჩაგრულთა შვილნი.

ასეთია ანტონის პოლიტიკური მრწამსი.

საზოგადო საქმეებში ის გულწრფელია, უზადო, შუალ-

თი, თავდადებული და უზენაესათ პატიოსანი. ეს იშვიათი პიროვნება იმ თავითვე ამოუღგა გვერდით მესამოცე წლების საუკეთესო მოღვაწეებს და მეღგრათ ეწეოდა მათთან მძიმე ჭაპანს. სალიტერატურო წრეები, ოეატრი, სახალხო წარმოდგენები, უზრნალი, გაზეთი, ბანკი, წ.-კ. გ. საზოგადოება, ყველგან სჩანდა დაუცხრომელი ანტონი, ყველგან ისმოდა მისი გაბედული სიტყვა და უანგარო მოღვაწეობა.

ანტონ ფურცელაძის მწერლობა ნაყოფიერია და მრავალფეროვანი. მან თავი იჩინა მწერლობის სხვადასხვა დარგში. ის ცნობილია როგორც პოეტი, ბელეტრისტი, ღრამატურგი, ქრიტიკი, პუბლიცისტი და ბოლოს როგორც ისტორიკოსი. ახლაც სიამოვნებით კითხულობს ხალხი ანტონის ლექსიებს, პოემებს, „ბაგრატიონთა დიდებას“, „თამარ ლაზნელს“ და „ცისკარს“, ღრამაზს, „დიდ მოურავს“, რომანს, „მაცი-ხვიტიას“, პუბლიცისტურ ნაწარმოებს, „მახვილი თუ ინდუსტრია“ და მეტადრე კი მის ისტორიულ მონოგრაფიის „გიორგი სააკაძე და მისი ღრო“ . ამ წიგნით უკვდავყო ანტონმა თავისი სახელი, ამ გამოკვლევებით მან მობან ჩირქი საქართველოს უზენაეს გმირს გორგი სააკაძეს და აღადგინა იგი ერის თაუკანების კვარცხლბეკზე. თუ იტალია თავს იქებს გარიბალდით, საფრანგეთი ორლეანის ქალწულით და გამბეტათი, ამერიკა ფრანკლინითა და ვაშინგტონით, ამიერიდან საქართველოსაც ყავს ზეგმირი, დიდებული მამულიშვილი გიორგი სააკაძე, რომელმაც სამჯერ იხსნა საქართველო დალუპვისაგან და რომლის უზენაესი მიზანიც იყო საქართველოს გაერთიანება და თავისუფლება.

აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ანტონი, ტკბილათ მოსაუბრე, გულკეთილი, მშრომელი და პატიოსანი მოხუცი..

კურთხეულ იყოს სახელი შენი, ჩვენო მოძღვარო და უანგარო აღამიანო!..

სიმონ ქვარიანი.

„ერი“, 13 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძე.

ქართლიდან მოგვივიდა მოულოდნელი ამბავი—სოფ. მერეთში 4 ამ თვეს ანტონ ფურცელაძე გარდაიცვალა.

ანტონ ფურცელაძე!.. ეს სახელი ბევრ რამეს ეუბნება ქართველ მკითხველებს. რომელი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი იქნება ჩვენში, რომ ეს სახელი არ გაეგონოს? ამავე დროს განა იქნება ისეთი ვინზე მკითხველი, რომელსაც ხოტბა შეესხას განსვენებულ მწერლისათვის? ჩვენი კრიტიკა ხომ სრულებით სპობდა მას, როგორც მწერალს, მრავალი მკითხველიც არ ზოგავდა მისთვის მკვანე მკვანე სიტყვებს.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ თვით ანტონიც აძლევდა ამის საბაბს. სრულებით ყურადღებას არ აქცევდა ნაწარმოების გარეგნობას, მის მხატვრულ მხარეს. იმ დროს, როდესაც დიდი ოსტატობას იჩენდა შინაარსის გამოძებნაში, იგი სრულებით ვერ ახერხებდა ჰეშმარიტ კაზმულ გარეგნობაში ამ წარმტაც შინაარსის გამოსახვას. აიღეთ თუნდა „თამარ ღაზნელი“!.. განა ეს ნაწარმოები შინაარსის მხრით საყურადღებო არ არის? აბა, ახლა ჩაუკვირდით პოემის მხატვრულ მხარეს. ამა გვვინია, მოუწონოთ ავტორს.

ასეთივე წარმტაცი შინაარსისა მისი პოემები „მარაბდა“, „ცისკარა“, მოთხრობა „მაცი-ხვიტია“, ტრაგედიები: „დიდი მოურავი“, „ავაზაკნი“ და სხვ. ჰკითხულობთ ყველა ამ ნაწარმოებს და გწყინთ. რომ ავტორს ძალა არ შესწევს ამ მშვენიერ ამბების მშვენიერ სახეში გამოხატვისა.

მაგრამ დაუტოვოთ განსვენებულ ანტონის ნაწერების გარჩევა ისევ პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკას. ჩვენ კი შევეხოთ მხოლოდ მისი მწერლობის და მოღვაწეობის იმ

მხარეს, რომელიც ყველასათვის ცხადია. ანტონ ფურცელაძე — მთელი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში... მეტად ნაყოფიერი პწერალი, მესამოცე წლების იდეალებს დაწავებული საზოგადო მოღვაწე, იგი ისეთ პიროვნებას წარმოადგენს, რომ ჩვენი საზოგადოებრივობის ვერც ერთი პირუთვნელი მეისტორიე მას გულგრილად გვერდს ვერ აუვლის. იგი შეჩერდება და იტყვის: „ანტონ ფურცელაძე იყო ხალხის მეგობარი და ჰქონდა დემოკრატიასთან ახლოს იდგა“.

ამასვე იტყვის ყველა ჩვენგანი, რომელნიც არა-ერთხელ შევამათებივართ მას პრესაში, თუ საღმე კრებაში. იყო საგანი, რომელსაც განსვენებული არასოდეს არ ულალატებდა — ეს გახლდათ სამშობლო და მისი დაბეხავებული ხალხის მასსა.

დაკვირვებით გადიკითხეთ მისი ზემონახსენები თხუჭულებანი და თქვენ დარწმუნდებით ჩვენი სიტყვის სიმართლეში. ანტონს უყვარდა გლეხობა, მშრომელი ხალხი და მისი ტანჯვა ყოველთვის თვალწინ ედგა. ამიტომ რამდენადაც შეეძლო, იგი ყოველთვის ხელს უმართავდა ჰქონდა დემოკრატიას. დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ჰქონდა დემოკრატიულ მოძრაობას, მიმართულების განურჩევლად. როდესაც დაინახავდა, რომ ამ მოძლევების აღმსარებელი ნივთიერ გაჭირებას განიცდიდა, იგი მოვალედ პრაცედა თავის თავს სამუშაო საღმე მოეძებნა მისთვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს ბანკში მისი თავმჯდომარეობის დროს ბევრმა ახალგაზრდა ინტელიგენტმა, საზოგადო ასპარეზზე გამოსულმა. იშოგა სამუშაო. ბევრს შეუძლია სთქვას, რომ ეს წვრილმანი საქმეაო, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენი ცხოვრება ისეთ პირობებში მიმდინარეობს, რომ ასეთი წვრილმანიც „მსხვილმანად“ გვეჩვენება. ასეთივე თანაგრძნობით ეკიდებოდა იგი მეზობელ ერების და სხვა ხალხთა საქმეს და მისწრაფებას. ცნობილია მისი პატივისცემა მაჰმადიანებისა და სომხებისადმი. იგი დიდი მოწინააღმდეგე იყო ჩვენში შოვინისტური ნაკვერჩელების გაღვივებისა.

არ დაგვავიწყდება არასოდეს, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა და მის მეგობართა დეპეშმა გორიდან გაგზავნილმა იტალიელ უკვდავ მამულიშვილის ჯუჭებე გარიბალდის სიკვდილის გამო.

დემოკრატიულმა მიმართულებამ შესძინა ანტონს ბევრი მტერი მაღალ წრეებში, განსაკუთრებით თავად-აზნაურობაში. მაგრამ ის ამისდა მიუხედავად თამამად აღიარებდა თავის რწმენას.

მისი ხასიათის და ბუნების სწორედ ამ თვისებებმა მიიჭირი ჩვენი ერის მგრძნობიარე ნაწილის—ახალგაზრდობის და შშრომელი ხალხის—ყურადღება, მრავალ ახალგაზრდას შეუძენია ცოდნა მის წრეში და შეუთვისებია საზოგადოებრივი იდეალი, ჩვენი ცნობილი მწიგნობარი დაუღალავი ზაქარია ჭიჭინაძეც მისი გავლენის ქვეშ იზრდებოდა.

ამიტომაც უყვარდა ანტონი მშრომელ ხალხს. არასოდეს არ დაგვავიწყდება შემდეგი სურათი. მოძრაობის დროს, ერთ დღეს აუარებელი ხალხი ნაძაღადევიდან ავჭალის ქუჩით მიიმართებოდა მეტებისაკენ მიტინგის გასამართავად, ზოგიერთებმა შეპნიშეს ერთი სახლის აივაზზე ანტონი, რომელიც ავადმყოფობის გამო ძირს ვერ ჩამოსულიყო და ზემოდან სალამს უძღვნიდა აღტაცებულ ხალხს. ხალხში ბევრი გამოჩნდა ისეთი, რომელნიც ანტონს იცნობდნენ, როგორც მოღვაწეს. ამ წამს სწორედ ოვაცია გაიმართა ქართველ მწერლის მიმართ.

მაშინ თვით ხალხმა იგრძნო, თუ ვის უპასუხებდა სალაშე,

სწორედ ეს ხალხი მადლობით მოიხსენიებს განსვენებულის ღვაწლს და გასწორებს იმ უსიასოვნებას, რომელიც შესაძლებელია უსამართლოდაც, ჩვენ, ანტონის თანამედროვეთ, მიგვიყენების მისთვის.

ცნობილია, რომ, ხალხს სიმართლე უყვარს.

და უფრო იყოს მისი ნაღვაწის ჭეშმარიტი დამფასებელი.

ანტონ ფურცელაძე

(მოკლე განხილვა მასი ცხოვრებისა).

მოაკლდა ქართულ მწერლობას და საზოგადოებას შესა-
შოცე წლებში გამოსულ საზოგადო და სამწერლო ასპარეზზე
ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე. ძველად მიღებული იყო,
თავად-აზნაურთა შეილებს გზავნილნენ რუსეთის კორპუსებში
სწავლის მისალებად, იზღებოდნენ იქ სახელმწიფო ხარჯით.
ჰატიათ ანტონიც, ოფიციალური მისამართის, მოპყვა ერთ-ერთს
რუსეთის კადეტის კორპუსში, მაგრამ იქ ფეხი იტკინა და
მალე დაბრუნდა სამშობლაში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავი არ
დაჰკარგა: სოფელში მიპყვა სხვადასხვა წიგნების კითხვას. და
თან ემზადებოდა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.
მაგრამ ბედმა უმუშთლა და ვერ ეღირსა სანატრელ ფიქრის
ასრულებასა. დარჩა თბილისში, იშვია სამსახური და შეუდგა
მწერლობას. იგი გახდა თანამშრომელი მაშინდელი უურნალის
„ცისკარის“. მას ემჩნეოდა გავლენა რუსეთის მესამრცე წლე-
ბის დიდებულ მწერლების, განსაკუთრებით ჩერნიშევსკისა,
დობროლიუბოვისა, პისარევს ხომ აღმერთებდა. მუდამ წიგნე-
ბის კიხთვაში იყო და ძალიანაც განვითარდა. ანტონი დიდი
მშრომელი კაცი იყო, აგებულებით მაგარი და ღონიერი, მაგ-
რამ ავადმყოფობდა კი, სულ მუდამ წამლობაში იყო, პომეო-
პატური წამლები მუდამ ჯიბე-უბეებში ეწყო და თითქმის ყო-
ველ დღე ჰყობამდა რაღაც ახებსა.

მწერლობაში ანტონ ფურცელაძე განმარტოებით იდგა,
ებრძოდა „საქართველოს მამპეს“, „დროებას“, განსაკუთრე-
ბით კი „კრებულს“. დაუღალავი და ნაყოფიერი მშრომელი
მუდამ მუშაობდა „ცისკარში“, „დროებაში“, შემდეგ ნ.

ავალიშვილის „მნათობში“ დიდ მონაწილეობას იღებდა, ყოველ ნომერში იძექდებოდა მისი წერილები- დიდხანს იშრომა სასოფლო გაზეთ „გუთნის დედაში“ და დიდი ღვაწლიც მიუძღვის ამ გამოცემაში. ანტონი ძალიან დაახლოვებული იყო სამოცდათიან წლების მოსწავლე ახალგაზდობასთან; ხშირად დაიარებოდა ი. გოგებაშვილთან, რომელიც იმ დროს თბილისის სასულიერო სასწავლებლის უფროსად იყო და ცხოვრობდა სემინარიის შენობაში. აქედან დაუახლოვდა მაშინდელ სემენარიის მოსწავლეებს, ამ დაახლოვების მიზეზნი იყვნენ სემენარიის მოსწავლენი -პოეტი იოსებ ბაქრაძე და ბელეტრისტი ნ. ლომაური. ესენი ხშირად დაიარებოდნენ ანტონთან, როგორც მისი მახლობელნი, ნათესაობით და ერთს სოფელში ცხოვრებით. ამათის წყალობით სემინარიელნი გავეცანით ანტონს, დავუახლოვდით უურნალ „მნათობს“ და მის თანამშრომლებს.

ანტონი ძრიელ ფხიზელი კაცი იყო, უყვარდა კამათი, მსჯელობა სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საგნებზე. კამათის დროს თვის პოზიციას მტკიცედ იცავდა და თუნდა თვალნათლად დაგემტკიცებინა მისი სისუსტე, მაინც არ დაგითმობდა, ჯიუტობდა. ეს თითქმის ყველა ჩვენი მეთაურების სენია. ამიტომაც იყო, რომ ანტონი მუდამ პოლემიკაში იყო მეორე ბანაკის მწერლებთან, განსაკუთრებით ნ. ნიკოლაძესთან. ამ მხრივ შესანიშნავია მისი პოლემიკური წერილი „ათი მცერს – ერთი მოყვარე“. რომელიც „მნათობში“ დაისტამბა.

ზემოდ ვსთკვით, რომ ანტონი ნაყოფიერი მწერალი იყოვო. სამოცდან წლების მოღვაწეთაგან, უხვი მწერლობით, ანტონს მესამე ადგილი უჭირავს. საჭმე ის არის, რომ მის ნაწერებს ისეთი გავლენა არა. ჰქონდა, ისე ვერ ხიბლამდა მკითხველს, როგორც სხვა ჩვენი მესამოცე წლების მაღლიანი მწერლები. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ის იყო, რომ ანტონი მწერლობის ფორმას სრულიად არ აქცევდა ყურადღებას. მხატვრული, პოეტური ჩამოქანდაკება თვისი ნაწარმოებისა

არა სწამდა, თუმცა კი პოეტობდა. ძალიან კოჭლობდა მისი ენაც, რომელიც ძალიან ხშირად აჭრელებული იყო რუსიცი ზებით, რუსული სიტყვებით. თუმცა ანტონი შეწყნარებული არ იყო მოწინააღმდეგ ბანაკისაგან. მაგრამ მაინც მას ჰყანადა ფართო აუდიტორია მკითხველებისა და მსმენელებისა. მის ნაწერებს ძალიან ვასავალი ჰქონდა მუშა-ხელოსნებში. მის კალამას ეკუთვნის შემდეგი ბელეტრისტული ნაწარმოები:

„კიტესა“, „სამის თავ-გაჯასივალი“, „მართა“, „ვაი მართალთა“, „მაცი-ხვიტია“, ღრამები „დიდი მოურავი“, „ავაზაკნი“ *), „ივლითი“. აქვს პოემები: „ბაგრატიონთა დიდება“, „თამარ ლაზნელი“, „ცისკარი“, „წყალობა“, „მარაბდა ანუ ცხრა ძმა ხერხეულიძენი“. ამას გარდა აქვს წვრილი ლექსები და პუბლიცისტური წერილები.

ლექსებს სწერდა ფსევდონიმით ზურაბ მოენიძე, მახსოვს, ბრაზ მოსული ანტონი ულიცრად, იხსენიებდა ხოლმე თავის პოლემისტებს: მლანძლავენ, არარად მიაჩინიათ ჩემი ნაწერები, შავრამ როცა ვგზავნი „დროებაში“ ჩემს ნაწერებს ზურაბ მოენიძის ფსევდონიმით, მოსწონთ, ბეჭდამენ; რომ იცოდნენ, ისინიც ჩემს კალამს ეკუთვნის, არ დამიბეჭდამენო“.

როგორც საზოგადო მოღვაწეს, ანტონს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. იგი ძალიან დაახლოვებული იყო დიმ. ბაქრაძესთან, დიმ. ყიფიანთან, ნ. ავალიშვილთან, ნიკ. ცხვედაძესთან, გიორ. ნიკ. იოსელიანთან და საზოგადოდ ყველა იმ მოღვაწეებთან, რომელნიც უურნალ „მნათობის“ გარშემო იყვნენ თავშოურილნი. ამ ჯგუფს ხშირად ჰქონდა სჯა-ბაასი დღის ვარამზე, საჭირ-ბოროტო საგნებზე. ამ ჯგუფში აღიძრა საჭიროება. წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა, წარმოდგენების მართვისა, საზოგადოდ ხალხში სწავლა-განათლების

*) „ავაზაკნი“ „ზაკ. რეჩას“ ჰერნია, ვითომ შილერიდამ იყოს ნათარგმნი. შილერის ტრაგედია ნ. ავალიშვილისაგან, ანტონისა კი თრიგინილურია, დაწერილი შილერის ზედგავლენითა.

გავრცელებისა და ერთი უპირველესი მოთავე ყველა ამისა იყო ანტონ ფურცელაძეც. მიმართულებით ხალხოსანი, დიდი მოტოფიალე იყო საშობლო ერისა და მისი წარმატებისა. ყოველს გასაჭირში ეხმარებოდა გლეხობას, გამოდიოდა მათ დამცველად სასამართლოებში.

მახსოვს ერთი ეპიზოდი იმის ცხოვრებიდან: მემამულე ივ. სულხანიშვილი გადაეკიდა ერთს გლეხს ზაქარა ტეტუნაშვილს, რომელიც საეკლესიო გლეხი იყო, კარგი შემძლებელი ოჯახიშვილი იყო ეს ტეტუნაშვილი; მემამულემ მოინდომა მამულის წართმევა. ანტონ ფურცელაძე მეგობრად იყო იმ ფამად ივ. სულხანიშვილთან. გლეხმა მიმართა ანტონს საშველად. სულხანიშვილმა არ ჟეიწყნარა მისი შუამდგომლობა. ანტონმა თავის თავზე აიღო ტეტუნაშვილის საქმე, სამუდამოდ ჩამოშორდა მეგობარს სულხანიშვილს და დაუწყო მედგარი ბრძოლა; დავაძა დიდხანს გასტანა. საწყალი გლეხი მოდავემ სულ გააწყალა, მაგრამ მამული მაინც ვერ წაართვა. ანტონის მეცადინეობით გლეხს შერჩა მამული.

სამოცდაათიან წლებში ანტონის და ნიკ. ავალიშვილის მეთაურობით დაიწყო ქართული წარმოდგენები. ეს ხანა იყო პირველი გარიურავი ქართული ფეატრის განახლებისა. სიამოცნებით იღებდნენ მონაწილეობას იხალგაზრდა დიდი ოჯახების ქართველი ქალები: ბაბო ხერხეულიძისა, ელენე ყიფიანისა, ოლღა ყაზბეგისა და სხვ. თვით ნ. ავალიშვილი დახელოვნებული არტისტი და რეისუსორი იყო. ანტონმა სემინარიელები ჩარია წარმოდგენებში; მონაწილეობას ვიღებდით: პოეტი იოსებ ბაქრაძე, შიო შიუკაშვილი, იასონ ნათაძე, ნ. შანშიაშვილი, მე და კიდევ სხვები, ჩვენ, სემინარიელები, უფრო გლეხის როლებს ვთამაშობდით. რეპეტიციებისათვის ანტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო. რეპეტიციები იყო დიმიტრი ყიფიანთანაც, ბაქრაძიანთსა, აბულაძიანთსა და სხვებთან. ანტონი დაუღალავად შრომობდა ამ საქმეში.

ათას რვაას სამოცდა თოხმეტიდან ქ. გორში გაჩნდა

პატარა კერა ახალგაზღრებისა. ეს პაწია კერა თანდათან გაჩაღდა, გაბრწყინდა და თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საზოგადოების თვალში. ანტონ ფურცელაძე ხშირი სტუმარი იყო გორის ინტელიგენტთა პატარა საზოგადოებისა. მაშინ ანტონი სათავადა-აზნაური ბანკში იყო დამფასებლად, ხშირად ამთაღიოდა ქართლს; რჩებოდა გორში რამდენიმე დღით თავის მეგობარე მათე კერესელიძესთან, მათე კერესელიძე ძალიან განვითარებული კაცი იყო, აღზღილი მესამოცე წლების რუსულ ლიტერატურაზე. აქ ისადგურებდა ხოლმე ანტონი და იყო მუდაშ სხვადასხვა წიგნების კითხვა-ქართულს და რუსულისა. სჯა-ბაასი, კამათი, კითხვა ზოგიერთა დაუბეჭდავის ნაწარმოებისა. გორის პატარა წრის გასაცნობად მოდიოდნენ ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი თბილისიდან, მაგალითად აკაცი, იაკობ გოგებაშვილი, ვანო მაჩაბელი, სერგეი მესხი, გიორგი იოსელიანი (ექვთიმისძე) და სხვ. გორში, და საზოგადოდ ქართლში, სხვათა შორის, ანტონის მეოხებით, გავრცელდა ხალხში სწავლის საჭიროება, გაჩაღდა წარმოდგენები. მოყვარულნი სდგამდნენ წარმოდგენებს გორში განუწყვეტლად, ხანდისხან სოფლებში: მეჯვრისხევში, ცხინვალში, რეხაში, ქარელში, სურამში, არც ერთი საკეთი დაწყებულება ისე არ მოხდებოდა გორში, რომ ანტონს არ შეეტანა თავისი წვლილი. მაშინ გორს ამკობდნენ ისეთი პირი, როგორც მ. ყიფიანი, მათე კერესელიძე, ნიკო ხუდადოვი, ქაიხოსრო ფურცელაძე, ივანე ხიმშიაშვილი, შიო დავითაშვილი, ნიკო დიასამიძე, შემდეგში ნ. ლომოური. ანტონი გახალისებული იყო ამ ჯგუფის მხნეობით, მუშაობით და დიდის სიყვარულით ეპურობოდა, ხელს უმართავდა.

სიკვდილამდე ანტონს კალამი არ გაუგდია ხელიდან და მოკვდა, როგორც კარგი მეომარი ბრძოლის ველზე. სამართლიანად ამბობს გრ. ყიფშიძე, ახლო მცნობი განსვენებულის ანტონისა, „ჩვენი მწერლობა, ჩვენი ახლად ფეხ-ადგმული

კულტურა სხვა მოღვაწეებთან ერთად ვერ დაივიწყებს ანტონ ფურცელაძესაც, ომელიც თავის შესაფერს ადგილს დაიჭერს ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოებრივობის ისტორიაში".

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაულალავო მუშავ, მოტრფიალევ შენის ლამაზი სამშობლოსი და მრავალტანჯულის მისი ერისა!

სოფრ. მგალობლიშვილი.

„თემი“, 11 ნოემბერი, 1914 წ.

ქ ე ნ ი ქ ვ ნ ა

პატივცემული მწერალ-მოღვაწე. სოფრომ მგალობლიშვილის ცნობის თანახმად უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძეს ასეთ საქმენი გლეხების, თუ სხვა ასეთ გაჭირებულთა სადავონი ერთი და ორი კი არ ჰქონია ხოლმე აღებული, არა მეტად მრავალი. და მასთან ზოგი მეტად რთულნიც. უნდა ისიც ესთქვათ, რომ ხშირად ასეთ საქმეების კეთების დროს, შრომას გარდა თავის საკუთარი ფულიც ხშირად ეხარჯებოდა. ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში ხშირად ყოფილა. იგი მხურვალე დარაჯი იყო მართლ მსაჯულებისა.

გამომცემელი.

ანტონ ფურცელაძე

(ნეკროლოგი)

მოგვივიდა სამწუხარო ამბავი ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძის გარდაცვალებისა თავის სოფელ არბოში, ქართლს...

ანტონი უკვე ხანში შესული იყო, 74 წელს მიღწეული, და, თუმცა ჯერ კიდევ მოუძლურება არ ეტყობოდა, ჭარმა-გაღ იყო, გონება ნათელი ჰქონდა, მრავალგვარ სნეულებას ჯანისას მხნედ ებრძოდა, მაინც სხანს, ბოლოს ვეღარ შეუძლო მისმა მაგარშა აგებულებამ ჯან-გატეხილობას და სიკვ-დილშა წაგვართვა ეს მოწამე და მომსწრე ჩვენის მწერლობისა და კულტურის აღორძინების დაწყებისა, იმ ხანისა, როცა ის-ის იყო იწყებოდა რიურაუი ამ აღორძინებისა ახალ პირობათა შორის, რუსეთის მფლობელობის დამკაიდრების შემდეგ.

ანტონი დაიბადა 1838 წელს. განათლება კადეტთა კორ-პუსში მიიღო რუსეთს და რამდენადც გამიგონია, კურსი იქ არ დაუსრულებია. ახალგაზდამ დაიწყო სამსახური ჭიდოლისში და გაერია იმ ახალგაზდებ შორის, რომელნიც სცდილობდნენ კვლავ აეფოლებინათ მეტის-მეტად ჩაფერფლილი ცეცხლი ქარ-თველთა ოდესშე ძლიერ და სახელოვან კულტურისა.

ახალგაზდობაშივე ანტონს ვხედავთ მოწინავე მოლვაწე-თა შორის. ანტონი გვერდში აშოუდგა უურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებს და დაუღალავად მუშაობდა მწერლობის ასპარეზზე. თან ანტონი სცდილობდა თავის საკუთარ განვი-თარებისთვისაც, ბევრს სწავლობდა წიგნების კითხვით, მოწი-ნავეთა ჯგუფში მსჯელობითა და კაშათითა. მის კალამს ეკუ-თვნის მრავალ საპუბლიცისტო წერილებს გარდა, არა-მცირე-დი რიცხვი საბელეტრისტო ნაწერებისაცა, რომელიც ცალკე

ჩიგნებათაც იპყვდებოდა და მოთავსებული იყო უურნალ „ცისკარსა“ და „მნათობშიაც“. მის სამსჯელობო წერილთა შორის აღსანიშნავია მისი „ჩვენი ჭკუის ძალა“, „ხშალი თუ ინდუსტრია“ და სხვა; აღსანიშნავია აგრედვე დიდი საისტორიო გამოკვლევა; „ბრძოლა საქართველოს მოსპობისათვის“. მხატვრულ ნაწერებში უნდა აღინიშნოს „მაცი-ხვიტია“, „ვაი მართალთა“, ჩვენებური საქმის ბოლო“, ტრაგედია „დიდი შოურავი“ ანუ გიორგი სააკაძე, „ავაზაკნი“, პოემა „ბაგრატიონთ ქება“, დრამა „ივლითი“ და სხვ.

ორმოციოდე წლის წინიდ, ანტონმა დაანება სამსახურს თავი სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში, საცა იურისკონსულტის თანაშემწედ იყო და კერძო ვექილობას სწევდა. მერე საადგილ-მამულო ბანკში იქმნა არჩეული დამფასებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად და ბოლოს, ილია ჭავჭავაძის სამსახურიდან გადადგომის დროს, არჩეულ იქმნა ამავე ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ამ თანამდებობას ანტონმა დაანება თავი ამ ხუთიოდე წლის წინად და სცხოვრობდა თავის სოფელში.

ბოლოს დრომდე კალამი ხელიდან არ გაუგდია და, ჯერ ისევ შარშან, დაბეჭდა მეორედ თავისი ახალი ცნობანით შევ-სებული საისტორიო გამოკვლევა „ბრძოლა საქართველოს მოსპობისათვის მე-17 საუკუნეში“.

განკვენებული დიდის ხნის განმავლობაში დაახლოვებული მეგობარი იყო ქართველთ ისეთის მოლვაწეებისა და მწერლებისა, როგორნიც იყვნენ; დიმ. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვ.

ჩვენი მწერლობა, ჩვენი ახლად ფეხ-ადგმული კულტურა ამ მოლვაწეებთან ერთად ვერ დაივიწყებს ანტონ ფურცელა-ძესაც, რომელიც თავის შესაფერს ადგილს დაიჭერს ჩვენიკლიტერატურისა და საზოგადოებრიობის ისტორიაში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შისი.

გრ. უიფშიძე.

„სახალხო გაზეთი“, 6 ნოემბერი, 1913 წ.

ანტონ ფურცელაძის გარდაჩქანალების გამო.

ანტონ ფურცელაძის გარდაცვალებამ საერთო გლობუ
გამოიწვია. და მეც განსაკუთრებით თავზარი დამცა. განსვენე-
ბული მდგომარე წლის დასაწყისში ქუთაისში ბრძანდებოდა
და ხშირად ვეიწვევდა სხვა და სხვა საერო, სამოღვაწეო, საქ-
მექანიკე, სადაც მისი საღი აზრი, გულის სიწრფოება და წყურ-
ვილი შოღვაწეობისა გვატებობდა და ნუგეშსა გვფენდა. ეს
პატივული მოხუცი ეგოდენ თამამად და მხნედ ბრძანდე-
ბოდა, თითქოს ჭაბუკი ყოფილიყოს. გავლილი უკანასკნელი
წლები მეტად მწვავე და ულმობელი შეიქნა ჩვენთვის. საამა-
ყო სახელმოვანი მამულშვილები ხელიდან გამოგვაცალა და
მით ძაბით შევიმსექთ. რამდენი ერთი დაუკიწყარია ანტონის
უანქრახუსა და შრომაში. სხვას რომ დავეთხოვოთ განსვენე-
ბული ხელ-ახლა მშობელია საქართველოს უკავი გმირის
დღესაც საკამათო და შესაფერად დაუფასებლის გიორგი სააკა-
ძისა. მწლხარება ამ უბედურმა შემოხვევამ მით უფრო გამი-
ორებულა, რომ ჩემის ავალმყოფობის გამო ვერ შევძელ ვხლე-
ბოდი მის ცხელარს და ნაღველი გულისა ცრემლებათ დამე-
ღვარა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

ლეჩენუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვალი
თავ. იასონ გვლოვანი.

„თემი“, 25 ნოემბერი, 1913 წ.

გულის ამონაკვენესი.

მე უგუნური ვიყავი...

ვერაფებოდი რუსულ ლიტერატურას, ქართულს კი
შულგრილად ვუცემოდი.

შემთხვევით ჩამივარდა ხელში „განსვენებულ ანტონის
„მაცი-ხვიტია“. თუმცა გულით არ მინდოდა წამეკითხა, მაგ-
რამ მაინც დავიწყე.

და ვერ წარმოიდგენთ ჩემს გაოცებას „მაცი-ხვიტიას“
წაკითხვის შემდეგ.

მასუჯან შემიყვარდა ქართული წიგნების კითხვა და ქარ-
თული ლიტერატურა.

ლიაღ, ანტონმა და მისმა „მაცი ხვიტიამ“ ჩამინერვეს სი-
ყვარული საჭშობლო მწერლობისადმი. მისი ხსოვნა სამარადისო
ექნება ქართველის გულში, მეტადრე ქართველ მოწაფის გულში.

მოწაფე მიხ, ვეშეპიძე.

ქ ე ნ ი ქ ვ ნ ა.

მოწაფე მიხ. ვეშაპიძეს „გულის ამონაკვნესის“ გამო-

ნათქვამი გახლავსთ: — „ხმა მღვთისა და ხმა ერისაო“.

უნდა მოგახსენოდ პატივცემულო ბატონო, ომშ ასეთი
კეთილი გავლენა თქვენს გარდა სხვებზედაც დიდი აქვნდა ან
ფურცელაძის ნაწერებს.

სხვათა შორის, 1914 წ. იანვრის თვის რიცხვებში,
„ბათუმის გაზეთში“ ვინმე ნიკო გურულის წერილი გახლდათ
დაბეჭდილი, სადაც იგი ანუსხავდა ერთის ქართველის,
მელექსის, დაბა ხაშურის თეატრის მოღვაწის, ფონ-ტეფოს
(სტეფანე ნოზაძე) ბიოგრაფიულ ცნობებს.

გამოცხადებულ იქმნა, რომ სტეფანე ნოზაძეს დიდი რამ
სკოლური განათლება არ მიუღიაო, წერა-კითხვის შესწავლის
შედეგ, იგი მარტოდ ანტონ ფურცელაძის ნაწერებით განვი-
თარებულა და მომზადებულია. გავიხსენოდ უნდა, რომ ასე-
თი მაგალითები ჩვენში ერთი და ორი არ იქმნებოდა, ეს
ჩვენ მაგალითებითაც ვიცით. ხოლო აქ ეს ორი ამბავი მოვი-
ყვანეთ, რომელიც გამოცხადებულ იქმნენ ბეჭდვით ერთო
მოწაფის მიხ. ვეშაპიძის მიერ და მეორე ნიკო გურულისაგან
„ბათუმის გაზეთში“.

გამომცემელი.

განსვენებული ანტონ ფურცელაძეს

(ხმა მუშისა)

ჩვენ პატარა სამშობლო ქვეყანაში არ მეგულება ისეთი
შეგნებული მუშა, თუ ცოტათი წერა-კითხვა მაინც იცის,
რომ იგი არ იცნობდეს ანტონ ფურცელაძეს და არ წაეკით-
ხოს მისი რამე ნაწერი წიგნი.

ანტონ ფურცელაძე ჩვენის მუშა ხელოსნებისთვის დიდე-
ბული მწერალია.

ანტონ ფურცელაძე თავის მწერლობით დიდი მართლ-
მსაჯულია, ჰაზრისა და მიმართულების კარგი მოსამართლე,
ვერ ნახავთ მის ვერც ერთ ნაწერს, რომ იქ სიმართლეს,
პატიოსნებას და დაჩაგრულის სიბრალულს დიდი ადგილი არ
ექმნეს დათმობილი.

ანტონ ფურცელაძე თავის თანამედროვე მწერლუბისაგან
ბევრად განირჩევა, იგი მუდმივი ფხიზელი ზარაჯია დაჩაგრუ-
ლი ერის და ნამეტურ მუშა, ხელოსან და გლეხი ხალხისა.
იგი ამის მხრით ჩვენს მამათ მთავარათ ჭრობით.

თუმცა ანტონ ფურცელაძეს ასეთი მნიშვნელობა აქვს
ჩვენში, ასეთი კარგი ამაგი და სამსახური მიუძღვის, ხოლო
ჩვენს მწერლობაში ბევრჯერ ამომიკითხავს განსვენებულის
ნაწერების კიცხვა-გმობა, ცილის წამება და ბევრიც სხვა ცუ-
დი მოხსენებანი, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთი ბედი და საქმე-
ნიც ალბათ მხედრია წარჩინებულ კაცების. ვინც ჭრისა-
ტებას ემსახურება, ვინც ანტონ ფურცელაძის გზას ადგა,
იმას ჩვენს დროში მტერიც ადვილად ეყოლება.

ჩვენკი მშრომელი ერი დიდათ ვაფასებთ ანტონ ფურცე-

ლაპის შრომას და ნაწერებს, მუშა და ხელოსანი ხალხი მის ნაწერების ხსოვნას დიდ ხანს არ დავივიწყებთ. იმედი არის, რომ ჩვენი ხალხი მის ნაწერებს კარგათ შეიგნებს, მერე მას დიდ აღგილსაც დაუთმობენ ამ სმპატიო მამა-მთავარს.

მუშა და ხელოსანი ხალხიც მისი ნაწერების ჰაზრებს გულის ფიცარზედ დაიკერებ და ყოველთვის ცხადათ ექმნება დასახულ-დახსომებული.

• საპოუნიკი – მეჩექმე ლაზარე მაისურაძე.

ქ ე ნ ი ქ ვ ნ ა

მეჩექმე მაისურაძის შენიშვნა მართალია გაზლავსთ. ანტონ ფურცელაძეს თვილისში, ხელოსნებს და მუშებს დაახლოვებული კავშირი აქვნდათ. ბევრი ხელოსანი მუშა დაიარებოდა მის ოჯახში და სხვა და სხვა რჩევას და დარიგებას ჰყითხავდენ, ნამეტურ მწიგნობრობის შესახებ, ანტონ ფურცელაძეც ყოველთვის მხურვალედ ეკითდებოდა ამათ, აძლევდა ყოველ ნაირ დარიგებას. ამ გარემოებას დიდი ისტორია აქვს, იგი ანტ. ფურცელაძის ცხოვრების აღწერაში კაი ფართო აღგილს დაიკავებს. —

გამომცემელი.

ანტონ ფურცელაძე.

ანტონ ფურცელაძე, რომ სახელოვანი მწერალია, ეს ყველაშ იცის, ვინც ჩვენს ცხოვრებას და მწერლობას იცნობს. ხოლო ბევრს არ ეცოდინება თუ მწერლობის გარეშე მას ქართულ საზოგადო საქმეთა ასპარეზზედაც რა დიდი შრომა, ღვაწლი და ამაგი მიუძღვის. მისი მწერლობის და მოღვაწეობის ისტორია შეტაც მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი ლირიკული ვრცლად აღწერის და გამოქვეყნების. რადგანაც შგზარობა ნებას არ გვაძლევს ამ მოღვაწე-მწერლის შრომას და ღვაწლს ვრცლად შევეხოთ. ამიტომ ჩვენ აქ დავასახელებთ თუ მხარეს მისი ცხოვრებიდან.

მწერლობასა და ქართულ საზოგადო მოღვაწეობას გარეშე, განსვენებული ანტონ ფურცელაძე იყო ქართველების სტანკევიჩი. ამის მხრით მას მიუძღვის დიდი ამაგი, დიდი შრომა თფილისში მყოფ ქირთველ ახალგაზრდობაზედ, ვინაიდან მის სამკითხველოში მოიპოვებოდა ყველა რუსული და ევროპიულ მწერალთა შეცნიერული და ფილოსოფიური გამოცემანი. მისი წიგნებით და მსჯელობით იზრდებოდენ და ირაზმებოდენ მრავალზი. მის სახლში მოიპოვებოდა მეტაც რშვიათი რუსული წიგნები, მასთან ზოგიც ჯერ ნებადართული, მთავრობისაგან და მერე აკრძალულიც.

ყველა ეს წიგნები იყო საუნჯე იმ დროის ქართველ ახალთაობის, ვინაიდან ანტონს ხსენებული წიგნები სკივრში კი არ ეწყო ჩაკეტილი, არამედ იგი ყოველთვის ღია ელაგა და ვინც კი სთხოვდა რამეს ჭასაკითხათ. იგი მაშინათვე მზად იყო. ასედ წიგნების თხოვებას და კითხვას ხშირად კრებებიც მოსდგვდა, სხვა და სხვა საჭნებზე სჯა, კამათი და ბევრიც სხვა

ასეთები, რაც ცხადი საქმეა დიდს გავლენას ახდენდა ქართველთა ახალთაობაზედ. ამ კეშმარიტების მნიშვნელობას, უეჭველია, ცხადად დაასაბუთებენ მრავალნი. თვით ნოე ფორდანია, ფილიპე მახარაძე და ბევრნიც სხვანი მწერალნი, თუ მოღვაწენი და აწინდელნი მომქმედნიც გაიხსენებენ ამ გარემოებას და ცხად ჰყოფენ სისწორით.

ანტონ ფურცელაძეს ამ გარემოების წინაშე მიუძღვის ისეთი შრომა, ამაგი და სამსახური, როგორც სტანკევიჩის რუსეთში.

ქართველებში ამის შრომას და ამაგს უფრო მეტი პროგრესიული ხასიათი და მიმართულება აქვნდა; ვიდრე რუსეთში სტანკევიჩისას. ეს იმიტომ, ვინაიდგან მაშინ, რუსეთში, ბევრი რამ სამეცნიერო, საფილოსოფო და პოლიტიკური კითხვები არ იყო წინ წასული და განვითარებული. ანტონ ფურცელაძის დროს კი, როგორც რუსეთში, ისევ საქართველოში, ყველა ზემოხსენებულ კითხვები და მასთან სხვაც ბევრი რამ პროგრესიული პირობების, მასთან ახალ განვითარების მისწრაფებანი უკვე კარგად გახლდათ დაწინაურებული.

ამიტომაც ანტ. ფურცელაძის შრომა და ამაგი უფრო შინაარსიანია, მდიდარი, ვიდრე რუსეთში სტანკევიჩის, და მის მსგავს რუსეთის საუკეთესო პირების. ყოველივე ამის გარეშე ანტ. ფურცელაძე იმითიც სდგას მაღლა, რადგანაც იგი რამდენათაც მსოფლიო შეხედულების პირია და მსოფლიო მოქალაქე, იმდენადვე, უფრო მეტიც ქართველი მამულისშეიღია, ქართველი ნაციონალისტი. რამდენადაც იგი მსოფლიო მიმართულების მიმდევარი გახლდათ, იმაზედ მეტად მას უყარდათვის ქვეყანა, თავის ერის დაწინაურება პროგრესიულად და მის საშუალებით ახალი საქართველოს აღდგენაც.

მეორე მხარე ამ სამაგალითო მოღვაწის ოვისებათა აღმატებულებისა მდგომარეობს იმაში, რომ, რამდენადაც იგი იყო მსოფლიო აზროვნების მიმდევარი, იმდენადვე იყო ღრმად მორწმუნე თავის ერის და ქვეყნის სიყვარულისა. ამ მხრით

იგი იყო ევოლიუციის მიმდევარი რეალიზმით მაგალითსაც მოვიყვანათ, რათა აღვილობრივ ქართველმა მაჰმადიანებიც ძულენ თუ, როგორ უყურებდა მათ განსვენებული.

ქართველ მაჰმადიან ჩევნთან დაახლოვებას. და დაკავშირებას იგი დიდის სიხარულით უმზერდა. მათი შემოერთების ისტორია მან კარგად იცოდა. ამიტომ იგი სულით და გულით მონატრე იყო, რომ ამ ერს გამოეღვიძნა. იგი ჩაბმულიყო განვითარების, ანუ სწავლა-განათლების ულელში. ამათ შესახებ მართალია მას არაფერი უწერია, ხოლო საქმით კი პევრი რამ აქვს გაკეთებული. მაგალითებრ: თჭილისში ხშირად ჩამოდიოდენ სხვა და სხვა ქართველ მაჰმადიანთ დეპუტატები, ამ დეპუტატებს იგი ყოველთვის სახლში ჰპატიურობდა, საქმეებს უკეთებდა, თხოვნებს უწერდა მთავარმართებელთან, ასევე სამიწადმოქმედო სამმართველოებში და სხვაგან ერთის სიტყვით ყველგან, სადაც კი საჭირო იყო მათთვის რამე. ასეთ საქმეების კეთებას გარდა მათ დარიგებასაც აძლევდა ვრცლად.

მაჟახლელებს ტყვეების გამო სულ ეს უკეთებდა ისტორიულ თხოვნებს. ასევე აჭარელებს, ზეგნელებს და ლივანელებსაც. თვით მაჟახლელებიც იტყვიან ამას, რომ მათ ერთ დროს მაჟახლის ტყეები დროებით ამის თხოვნებით და ისტორიული ქალალდების წერით შერჩათ. ასეთ საქმეთა გარეშე ქართველ მაჰმადიანებს სხვაფრივათაც პატივს სცემდა. თვით აწინდელი ბათუმის ხოჯა ხაფის ეფენდი დაასურათებს ამას, თუ ანტონ ფურცელაძე მათ რა თავაზს, რა პატივისცემას უწევდა.

ერთს ნადიმზედ, თვით ანტონის ოჯახში, ერთი ქართველი ახალგაზრდა მაჰმადიანი, ჰასან ციციშვილი ისე გამხნევდა, ანტონის საუბარმა ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ მის მერე, ამ ქართველ მაჰმადიანმა ქართულად წერა-კითხვა ისე კარგად შეისწავლა, რომ მალე აჭარიდან გაზ. „ივერიაში“ სხვა და სხვა ამბების მოწერაც დაიწყო, რაც სიამოვნებით იბეჭდებოდა ყოველთვის. ასეთ საქმეთა მაგალითია კიდევი: ეხლა ხან ქუთაისში ყოფილან ვილაც ქართველ მაჰმადიანები. ამათ

ე საქვეყნო. თუ ეერძო საქმეები ჰქონიათ. ამ დროს ანტონ ფურცელაძეც ქუთაისში ყოფილა. ეს ქართველი მაჰმადიანები მოუთავსებია სასტუმრო „გურიაში“ და საჭირო საქმეების გაკეთების გარეშე, თვით სასტუმროს ქირა და ნახარჯი ფულით ანტონ ფურცელაძეს გადაუხდია.

ასეთ ცნობების მოყვანას რომ გავყვეთ, ეს ერთობ შორს წავიყვანს.

აქ ესეც საკმარისი არის იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორის მაღალი და უანგარო მამულიშვილურის და მოქალაქურის ვრძნობებით იყო გამსჭვალული, ისედაც დამსახულებული და საზოგადო მოღვაწე, ახლად განსვენებული ანტონ ფურცელაძე-

ბათუმი 10 ნოემბერი შ. ჭ.

„ბათუმის გაზეთი“, 14 ნოემბერი, 1913 წ.

მოგონება

(ანტონ ფურცელაძის სახსოვრად)

ახლად განსვენებულს საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ანტონ ფურცელაძეს ოცდა თხუთმეტი—(თქვემეტი) წლის წინად, როგორც იტყვიან, ენამ უყივლა, რომ ლუკა რაზიკაშვილს (—ვაჟა-ფშაველას —) ჩვენ მწერლობაში დაეჭირა ისე-თივე ადგილი, როგორც ილიას. ჩვენი სასიქადულო მგოსანი ვაჟა-ფშაველა ჯერ ბავში იყო, ფშავლის ბიჭი, თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა და მას ბლობად ჰქონდა თავისი ლექსები.. ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაპეს, ვის არ გაეგო მისი სახელი: „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის, ქეყნისა: იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ საფლავსა!“ უისწავლეთ კითხვა და ანტონის სახელიც ვიცოდით, არ გვე-ნახა, მაგრამ მივარდნილ ადგილასაც კი გავრცელებული იყო მისი სახელი; ესითვის და არ იყო მისი კარი ღია: მასთან შეეძლო მისვლა ყველას; იგი მასწავლებელი ახალ თაობის, მოწინაურე პირებისა. მე და ლუკა რაზიკაშვილიც მივედით ანტონთან; მიზეზი ჩვენი მისვლისა შემდეგი იყო: გამოსაკვები თავისა გვჭირდებოდა; ლუკას უთხარი: ლექსები ხო გაქცე დაწერილი, კიდევ დაწერე, წაულოთ ანტონს გავაშინჯოთ და-თუ მოიწონა, ვისმე დავაბეჭდინოთ სანახევროდ. ეს აზრი-შოეწონა ჩემს ამხანაგს ლუკას, მაგრამ ცოტა არ აყო სცხვე-ნოდა თავი გამოეჩინა, როგორც მწერალს ლექსებისა; მაინც გავაბეჭდინე და წავედით ანტონთან. ლუკამ წამოიღო თავისი რვეული, რომელშიაც იყო, როგორც მახსოვს, თხუთმეტი ლექსი, ამ რვეულს ზევიდან ჰქონდა შემდეგი წარწერა: „ლე-ქსები შეთხული ლუკა რაზიკაშვილისა“.

შევედით ანტონთან, ლიმილით მიგვიღო, გამოგვკითხა
ვინაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი
რვეული: ანტონმა იქვე ჩვენთანვე გადაათვალიერა. რვეული,
წაიყითხა რამდენიმე ლექსი, გვაჩუქა ორიოდ-სამი წიგნი და
გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს, მინამ წავიკითხავდი
სუსველა ლექსებს. ჩვენს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა,
რო ანტონი გველაპარაკა ჩვენ, სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებს.
მეორე დღეს დანიშნულ დროზედ მივედით; ანტონმა თავზე
ხელი დაადო და უთხრა ლუკას: „აბა შამამხედე, შენ კაი
ვაუ ჰყოფილხარო! დიდი ხანი გველაპარაკა, ზოგ-ზოგ
ლექსების შინაარსზედ თქო ძან კარგია, მომეწონაო და
სხვა. დაუბრუნა ლუკას რვეული და ზევიდან წარწერაზე
წაეშალა წითელი მელნით სიტყვა „შეთხზული“ და გაეში
შარტო: ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა. თანაც უთხრა: ეს
წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოატი, აი რო-
გორც ილია ჭავჭავაძე, მაშინ დაიწერე ხოლმე შენს ლექსებს
„შეთხზული“ ლუკა რაზიკაშვილისა; ეს ცოტა არ იყო არ
ეამა ლუკას, და როცა კარში გამოვედით, მეც რაღაც ღმერ-
თი გამიწყრა დაცინვით უთხარი: აბა მართლაც, ეგრე რო
გააპრტყელე წარწერა რომელი გამოჩენილი პოეტი ბრძანდები
მეთქი; ამასედ პასუხად ამხანაგურად წამიქიმუნჯა.

აი გამართლდა ანტონ ფურცელაძის სიტყვები და ის
პატარა ლუკა რაზიკაშვილი—ეხლა ვაუ-ფშაველა, ჩვენი
დიდება.

ს. ანდრიევი.

„სახალხო გაზეო“, 4 იანვარი, 1914 წ.

სიტყვა, თქმული ეპსოროგთათ ანთონ ფურცელაძის
დასაცლავებაზე სოჭ. მერეთში, სოჭის
გცხოვრებთა წინაშე. *)

მმანო და სულიერნო შვილნო! დღეს გლოვამ და მწუ-
ხარებამ შეგკრიბნათ ამ კუბოსა და სამარის გარშემო, რომ
უკანასკნელი პატივისცემა და სალამი უძლვნათ ჩვენს სასიქა-
დულო მამულიშვილს და მოჭირნახულე მზრუნველს შამას
ანტონსა. მესმის კერძოთ თქვენი ვლოვა და მწუხარება: თქვენ
და აკარგეთ თქვენი მუდმივ კეთილი დამრიგებელი, გზის მაჩვე-
ნებელი, თქვენი და მახლობელ მცხოვრებელთა კეთილდღეო-
ბისა და ბეღნიერებისათვის მზრუნველი, თავდადებული მამა,
რომელიც მუდამ გამზადებული იყო თავის გაჭირვებულ მე-
ზობლის საშველათ და დასახმარებლათ, რითაც კი შეეძლო.

მაგრამ, ძმანო, მარტო თქვენ არ დაგაკლდათ ანტონი
და მარტო თქვენ არა გლოვობთ იმის დაკარგვას და მოშო-
რებას. იმას მთელი საქართველო გლოვობს და მხოლოთ
თქვენ შეგხვდათ პირადი ბეღნიერება, მისი სამარემდისინ მი-
ცილება და უკანასკნელი სალამის მიცემა. ყველა თქვენგანი
თანაც დაინტერესებულია ამ კითხვით, თუ რა მოელის ამ
კაცს იქ, საიქიოს, ცხონებული იქნება მისი სული თუ არა?
ამაზედ, სულიერნო შვილნო, მოგაგონებთ თქვენთვისაც სა-
გულისხმიერო იგავს იქსო ჭრისტესის ტალანტებზედ; იქსო

*) განსვენებულ ანტონ ნიკოლოზის ქე ფურცელაძეს ასე დაუვალე-
ბია თავის შვილი ლევანისთვის: ჩემი დასაფლავება მოხდეს ერთი მღვდ-
ლით, სადათ, არაფერი გვირგვინები უქმნეს, არც სიტყვები წარმოითქვას,
პატივცემულ მღვდელს ეროდიონ ჯერობირიძეს მაინც ვერ მოუთმენია
და ეს ვრცელი სიტყვა საფლავის კარზედ წარმოუთქვამს,

გამოხვევლი.

ქრისტემ სთქვა იგავი: „იყო ერთი ბატონი, ომშელიც აპი-
ოებდა შორს წასვლას; დაუძახა თავის შონა-მოსამსახურეებს
და მისცა ერთსა ხუთი ტალანტი (ფულის ზომაა, თუნდა
მდაბიურათ რომ ვსთქვათ, თუმანი), მეორეს ორი ტალანტი
და მესამეს ერთი ტალანტი. „როცა დაკპრუნდები ამის ან-
გარიშს მოგთხოვთო“, და წავიდა.

გავიდა რამოდენიმე ხანი, დაბრუნდა ისევ ბატონი და
მოსთხოვა ანგარიში თავის მოსამსახურეებს. მოვიდა პირველი
მოსამსახურე და მოახსენა: „უფალო! შენ მე მომეცი ხუთი
ტალანტი, წავედი მე ის ხუთი ტალანტი ვამუშავე, ხუთსა
კიდევ ხუთი ტალანტი მოგვაგებინე და აპა ათი ტალანტი,
მიიღეთ“. გახარებულმა ბატონმა უბრძანა: „კეთილი და შე-
ჯითი მონა ყოფილხარ. მცირედზედ დაგადგინე და მრავალისა
ლირსი ყოფილხარ მოვედ და შემოდი სიხარულსა მამისა
ჩემისა“. მოვიდა მეორე მოსამსახურე და მოახსენა: „უფალო!
შენ მომეცი ორი ტალანტი. ვამუშავე, ორსა კიდევ ორი
ტალანტი მოვაგებინე და მიიღეთ ეს ათხი ტალანტი“. ბა
ტონმა იმასაც ასე უბრძანა: „კეთილი და შეჯითი მონა ყოფილ-
ხარ შენცა. ცოტაზედ დაგადგინე და მრავალისა ლირსი ყო-
ფილხარ. მოვედი სიხარულსა მამისა ჩემისა“. მოვიდა მესამე
მონა, რომელსაც ერთი ტალანტი შისცა და მოახსენა: „ბა-
ტონო! ვიკოდი, რომ შენ ისეთი კაცი ხარ, რომ იქ ეძიებ,
საღაც არ დაგიკარგავს და იქა მკი საღაც არ დაგითესია. შე-
მეშინდა შენი და შენი მოცემული ერთი ტალანტი, რომ
არ დამკარგოდა, წავედი და მიწაში ჩავფალი, აპა, მიიღე ისევ
შენი მოცემული ტალანტი“.

განრისხებულმა ბატონმა უბრძანა იმას: „ზარმაცო და
შედგარო მონავ! მე შენივე სიტყვით გაფამტყუნებ შენ: იცოდი,
რომ ისეთი კაცი ვიყავი, რომ იქ ვეძებელი, საღაც არ დამი-
კარგავს და იქა ვიმკიდი, საღაც არ დამითესია. განა არა
გმიროებდა შენ, რომ წასულიყავ ეს ჩემი ერთი ტალანტი
გეშუშავებინა, ერთისათვას კიდევ ერთი მოგეგებინებინა და

ისე დაგებრუნებინა ჩემთვის, ოოგორც ამ შენმა ამხანაგებმა მოგებით დამიბრუნეს. მაგრამ ზარმაცი და მედგარი ყოფილ-ხარ და არა ხარ ღირსი მაგ მცირედისაც. წართვით მაგას ეგ ერთი ტალანტიც და მიეცით იმას, ვისაც ათი ტალანტი აქვს. ხოლო ეგ ზარმაცი და მედგარი მონა შეკარით და ჩააგდეთ, საღაც არის ცეცხლი დაუშრეტელი, მატლი დაუძინებელი და ღრმენა კბილთა დაუსურულებელი. ვისაცა ჰქონდეს, მიეცეს და მიემატოს, და ვისაც არა ჰქონდეს, ისიც წაერთვას, რაც აქვს. ვისაც ყური აქვს სმენათ — ისმინეთ“.

ვინ არის მმანო ის ბატონი და ვინ არიან მონა-მოსამსახურები? ბატონი არის უფალი — იესო ქრისტე და მონები ვართ ჩვენ ხალხი. ყველა ჩვენგანსა ღმერთმა მოგვცა სხვა და სხვა ნიჭი — ტალანტი, ზოგსა ბევრი (დიდი ქონება, დიდი ხარისხი სამსახურისა, დიდ-გვარიშვილობა, დიდი სწავლა-განათლება-ჰქუა და სხვა). ზოგსა ნაკლები იმასთან შედარებით, ზოგსა სულ მცირედი, მაგალითად საღი ჰქუა და ჯან-მრთელობა. ყველა ჩვენგანმა შეურის თვალით კი არ უნდა უცქიროს მრავალი ნიჭის პატრონსა, არამედ ბეჯითად უნდა აამუშაოს თავისი მოცემული ნიჭი, თუნდა ერთიც იყვეს და მოახმაროს არა მარტო თავის თავს. არამედ თავის გაჭირვებულს მოყვასსა და უფალსა — სამადლო საქმეზედ. ვინც ასე მოიქცევა და ნალხის — მოყვასთა საკეთილდღეოთ იღვაწებს და ბეჯითად იშრომებს, იმას — მის სულს, სიკვდილის შემდეგ ისეთი სიხარულით მიიღებს, უფალი, ოოგორც ბატონმა სი-ხარულით მიიღო ის ორი „კეთილი და ბეჯითი მონა“ და საუკუნო სიხარულში და ბედნიერებაში დაამკვიდრებს ამავე სიტყვებით: კეთილო და ბეჯითო მონავ!

მცირედსა ზედა ბეჯითი — სარწმუნო იყავ და მრავალსა ზედა დაგადგინებ შენ. მოვედ სიხარულსა მამისა შენისა. ხოლო ვინც ზარმაცია. მცონარე, შურის თვალით მაცქერალი და ბოროტი, თავის მოცემულს მცირედს თუნდა ნიჭს (ჰქუას, ჯანმრთელობას) სხვისა და თავის საკეთილდღეოთ არ-გარჯის,

არ ამუშავებს, ამ ზოროტი ზარმაცი მონასავით „მიწაში ჩაფლავს“ არც სხვას არგებს და არც უფალსა, იმას უფალი იმ საუკუნო ცხოვრებაში მრისხანეთ მიეგებება და ეტყვის: „ზარმაცი მეღვარო და ბოროტი მონავ! არ ჭემართა რომ ჩემი მოცემული ნიჭი მიწაში კი არ ჩაგეფლა, არამედ აგემუშავებინა და ერთხ ორათ გამრავლებული დაგებრუნებინა? წარ-თვიზ მაგას ეგ მცირედიცა და მიეცით იმას, ვისაც ბევრი აქვს. ხოლო მაგ ბოროტს შეუკართ ხელ-ფეხი და ჩაგდეთ, ხადაც არის ცეცხლი დაუშრეტელი, მატლი დაუძინებელი და ლრჭენა კილთა დაუსრულებელი“.

ახლა, ძმანო! შევადაროთ ეს იგავი განსვენებული ანტონის ცხოვრებასთან და დასკვნა გამოიყენოთ, რა მოელის მის სულს საიქიო ცხოვრებაში და როგორ მიევებება მას ზე ციური მამა? ანტონს არა ჰქონდა ზეციერი გაძენისაგან. მრავალი ტალანტი მინიჭებული. არ იყო დიდი სიმდიდრის პატერონი, არ იყო დიდი გუარის შვილი, არ იყო დიდათ განათლებული და უმაღლეს სწავლა დამთავრებული, ანუ დიდი ჟარისხის პატრონი. იმას ღვთისაგან მინიჭებული ჰქონდა ერთი, ანუ ორი ტალანტი და ეს მცირედი ტალანტი თავის ბეჯითობით და სამაგალითო მხნეობით აამუშავა, სწავლაშიაც თვითონ თავისი მეცადინეობით განვითარდა და მაღალსწავლას დამთავრებულებს არამც თუ გვერდში ამოუდგა, არამედ კი დევაც ბევრს გაუსწრო და შესანიშნავი პუბლიცისტი—ლიტერატორი გახდა, თავისივე სამაგალითო მხნეობით და ნიჭი-მეცადინეობით დიდს და თვალსაჩინო, კეთილნაყოფიერს სამსახურს და ხარიხსაც მიაღწია, ქონებაც არა მცირედი შეიძინა და ეს ყველიფერი და თავისი თავიც ქვეყნის საკეთილდღეოზ სამშობლოს წმიდა სამსახურის სამსხვრეპლოზედ გამოიტანა და დასდო.

უკანასკნელი გულისცემამდინ სამშობლო ქვეყანას და ქართველ ხალხის წინსკლას, ბედნიერებას ეშახურებოდა, ამოცებული ხმალივით იყო: გამზადებული სამშობლო ერის და

ქვეყნის დასაცავად და ეს ხმალი მხოლოდ ეხლა ჩაესვენა სა-
მარეში. უმთავრესი ლვაწლი განსვენებულისა უფრო ის იყო,
რომ, თავისი მაგალითით და ნაწერებით ხალხსა და ახალმოზარდ
თაობას უღვიებდა გულში თავდადებულ სიყვარულს და ერთ-
გულებას თავის სამშობლო ქვეყნისა და ერისას პირველათ
ამან გაგვაგონა ქართველებს ეს შესანიშნავი ლექსი და დარი-
გება: „ყმაწვილო იყავ უცვლელათ ერთგული შენის ქვეყნისა,
ისა გზრდის, გივლის, გპატრონობს გისტუმრებს შორის გზა-
ზედა, სიკვდილის შემდეგ მშააბლურათ ის მიგისვენებსო გულ-
ზედა. მერწმუნე, მთელსა ხმელეთზედ, ჟერ ჰპოვებ მისებრ
ალაგსა, საჭაც ნახავდე ალერსა და საყვარულსა ამ გვარსა. მაშ, ისევ ყმაწვილო იყავ უცვლელათ ერთგული შენის ქვეყ-
ნისა, ისა გზრდის, გივლის, გპატრონობს, გისტუმრებს შორის
გზაზედა, სიკვდილის შემდეგ მშობლურათ ის მიგიხუტებს
გულზედა“.

ამ ლექსის გრძნობა ჩაუქსოვა თავის დიდებულ ზეზულე-
ბებს „თამარ ლაზნელს“ „დიდ—მოურავიანს“ და სხვას და ამ
წმ. გრძნობებით ცდილობდა აღეზარდა თანამედროვე ახალ-
გაზრდობა. მახსოვს ჩემი შეგირდობის დროს, როგორ გატა-
ცებულნი ვიყავით იმისი „თამარ ლაზნელით“, რომელიც ნაწ-
ყვეტებათ იბეჭდებოდა უურ. „იმედში“. როგორ მოუთმენლათ
ველოდით თვითუულ ნომერს, რა გატაცებით მივეხვეოდით და
ვკითხულობდით, გვავიწყდებოდა ყველაფერი და თვალცრემლ
მორეული სმენათ ვიყავით გადაჭცული. უფრო გატაცებით
ვადევნებდით ყურს ანტონის თამარ ლაზნელს და დიდ-მოურა-
ვიანს, მინამ მოჩხუბარიძეს დიდებულს ნაწერებს, და მთელს
ლამეებს უძილოი ვათენებდით. მახსოვს, რომ განსვენებულს
იუბილეის გადახდის დროს, ვერცხლის კალამი უყიდეთ.
თითო შაურობით და გროშობით შეგროვილი ფულებით
და ამაყი გრძნობით და თავმოწონებით მივართვით განსვე-
ნებულ ანტონს, რომელიც დიდათ ნასიამოვნები დაგვრჩა
ამ მცირედი საჩუქრით.

მახსოვს ისიც, რომ ზოგიერთ პირებს შეშურდათ ეს ჩვენ-
გან მიძღვნილი გულით საჩუქარი და გაზეთებში დაუწერეს
ჩვენსა და ანტონის დასამცირებლათ: „ანტონის ნაწერები მარ-
ტო ლაქიებს—და სემენარიელებს მოსწონთო“. მაგრამ ამას
მარტო შური ათვევინებდათ, თორებ განა არ ესმით, რომ
ის მწერალი არის ზენამადლით ცხებული. რომლის აზრებიც
ხალხის გულამდინ მიაღწევს, მის ზედა პირს კი არა, სილრმევ-
დინ გააპობს. ლაქიები და თუნდაც მოსწავლე ახალგაზდობა
სემენარიელებით ხომ ხალხის გულს და სისაღეს წარმოადგე-
ნენ და არა ზედა პირს. მაშ ქება და დიდება ანტონს და
მისთანა მწერლებს, რომელნიც ხალხს აამოძრავებენ. აქვს ან-
ტონს რასაკვირველია ნაკლულოვანება, მაგალითად ენის
მხრივ, მაგრამ კიდევ ქება და დიდება მას, რომ, აღზრდილმა
რუსის სასწავლებელში, სადაც ქართული ენის სუნიც არ მის-
დენია, და ასოც არ უნახამს, იმან თავისით, თავდადებული
მეცადინეობით და ენის სიყვარულით შეებრძოლა თავის თავს,
შეისწავლა ენა იმდენათ, რომ გვერდში ამოუდგა იმისთანა
ბუმბერაზ მაშულიშვილებს და ენის ბურჯებს, როგორიც იყ-
უნენ მაშინდელ დროს ილრა, აკაკი და სხვები და იმათთან
ერთად იღვწოდა მამულისა და ერის საკეთილდღეოთ.

ანტონ ფურძელაძეს აქვს ბევრი სხვა ჩინებული ლიტე-
რატურული ნაწარმოებნი, „ჩვენებური საქმის პოლო“, „მა-
კის ვიტია“, „სამის—თავგადასავალი“ „ვაი — მართალთა“ და სხვ.
ბელეტრისტული, პუბლიცისტული, პოლემიკური ნაწერები
ქართულათ და რუსულათ, როგორც ადგილობრივ, ისე სა-
ტახტო ქალაქების გაზეთებში, და იმათში მხოლოდ და მხო-
ლოთ ქართული ერის და ენის დაცვა და გამოსარჩევება იხა-
ტებოდა, და არა პირადი ინტერესები. ის სხვა სარბიელზედაც
თვალსაჩინო მოღვაწე იყო და ილია, ზუგისთან და სხვებთან
ერთათ წარმოადვენდა დედა ბოძს ქართული ჭარბაზისას, რო-
მელზედაც დამყარებული იყო მთელი სიმძიმე, ამ შენობისა.
ძალა უნებურათ მომდის ფიქრში შედარება ძველი ქართული

დარბაზისა მის დედა ბოძებით ეხლანდელ წვრილ ოთახებთან
თვის თავხე—კედლებ—სანათურებით: ქართული დარბაზი ისე
იყო მოყვანილი, რომ მთელი სიმძიმე—ტვირთი რამდენიმე
დედა—ბოძს და თავხეს აწვა, კედლები თუმცა მიწაში იყო.
ჩადგმული, სამაგიეროთ მტრისათვისაც შეუფალი და მაგარი
იყო და ზამთარ-ზაფხულის ჰაერისათვისაც შესაფერისი, თუმცა
სინათლით ნაკლები, რაუგანაც მარტო ბანიდგან ჩადიოდა სი-
ნათლე.

ეხლანდელი ოთახები კი ისე არიან, აშენებული, რომ
ტვირთი და სიმძიმე თანაბრაოთ არის განაწილებული თავხებსა
და კედლებშეა, დედა ბოძი აღარა აქვთ და ყველა თანას-
წორია. სანათურებიც ბევრი აქვთ და სამაგიეროთ მტრისა-
თვისაც და სიცხე-სიცივისათვის ადვილათ შესასვლელია. ამისდა
მიხედვით ძველი დარბაზში ცხოვრება დარბაზისავე შესაფე-
რისი იყო: ოჯახის უფროსზედ იყო დატვირთული მთელი
ოჯახის მმართველობა და სიმძიმე, ის იყო ყველა მიმართუ-
ლების მიმცემი აუჯახის წევრებისათვის; ეს უკანასკნელნი
ყველაფერში ემორჩილებოდნენ აუჯახის უფროსს და მტკიცე
შეურყეველი ერთობა პქონდათ ოჯახის მრავალ რიცხოვან
წევრებს. ისენი შეკავშირებულნი და დამკიდებულნი იყვნენ
უფროსთან, როგორც დედა ბოძთან დანარჩენი ხეები დარბა-
ზისა. ამისათვის ქართული ძველი ოჯახი მძლავრი და შეურ-
ყეველი იყო, როგორც გარეშე მტრისათვის, ისე შინაურ
ჭირსა—და გაჭირებისათვის. ამისთანა აუჯახი შეადგენდნენ
ქართველს ერს, რომელიც წარმოადგენდა ერთს, ფართო,
მძლავრს, ოჯახს, რომელსაც ვერაფერს აკლებდნენ ვერც გა-
რეშე მტერი და ვერც შინაური გაჭირვება. იმათა პყავდათ
ერთი უფროსი, რომელსაც ყველანი ემორჩილებოდნენ. და პა-
ტივსა სცემდნენ.

ეხლანდელი ქართველი ერის ცხოვრება შესაფერისია ეხლან-
დელი პატარ-პატარა წვრილ ოთახებისას: თხელი ფირფიტანა
კედლები და ზედ გაწყობილი წვრილი ხეები ფანაბრათ ინა-

წილებენ შენობის ტვირთს — სიმძიმეს. თუმცა სანათურებო
ბევრი აქვს და სინათლე ბევრი შემოდის, მაგრამ სამაგიეროთ
სფრადეს ეს ოთახები ვერ წარმ჈ალგენენ. ვარეშე მტერი
აღვილათ შევა ამ ოთახებში და სიცხე-სიცივეცა. მათში მცხოვ-
რებელი ოჯახიც უთავოა, როგორც ოთახი უდედაბოძო. ოჯა-
ხის წევრებს განაწილებული აქვთ ოჯახს ტვირთი, როგორც
კერის ხეებს და კედლებს შენობის ტვირთი; მაგრამ ააღვანაც
უთავოები არიან, თავიანთ ტვირთს თანაშორის სისწორით
და ერთვულებით ვერ ზიდამენ და უღელს ვერ ეწევიან, არ
არის მათში ერთობის ძალა და მიმართულება და ამ დაქსაჭ-
სულს, და ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგვ წევრებისაგან
შემდგარს ოჯახს გარეშე მტერიც აღვილათ შეუვა და სხვა და
სხვა გაჭირებაც.

ამ ნაირი დაქსაჭსული ოჯახები, სადაც არ არის უფროსთა
გაგრნება და პატივისცემა, არამედ მათი ლანძღვა და დამცი-
რება, შეაღგენენ ეხლანდელ ბედშავ ქართველს ერთა, უთა-
ვოსა და უკავშიროსა. და როგორც ამისთანას, ზარეშე სუსტი
მტერიც კი ყორესავით ფეხით გაფანტავს და სხვა და სხვა გა-
კირებაც ძირს დასცემს. ვვყვანან მრავალი ახალგაზრდანი,
უმაღლესი განათლებით აღჭურვნილნი, ნასწავლი და მოქ-
მედნი, მაგრამ ცველანი მიზდევენ თავიანთ მიმართულებასა,
ხშირად ერთ-ერთმანეთის წინააღმდეგსა და ქართველისაც ერის
— ოჯახის მავნებელსა — მაზარალებელსა — როცა ვხედავთ ამ
ნაირ ბაბილონისებურ აღრევასა, გაუგებრობასა, ერთმანეთის
მტრობასა და გაუტანდობასა, და ამათ მიზეზით სამშობლო
ქვეყნის ტა ერის დაღუპვას და განაღვეურებასა ქართველისავე
ვითომდა მოღვაწეთა ხელითა, უნებურათ ვნატრობთ, სასიქა-
ღულო მამულის შეილო ანტონ: ნეტავი ამდენ განათლებულ
ქართველთა შორის თქვენი დროის თანხმობა და მისწრაფება
იყვეს სამშობლოს საკეთილდღეოთ; ნეტავი თქვენისთანა დედა
ბოძები სამშობლო ურის ბეღნიერებისა კიდევ შეგვრჩენდნენ
რამდენიმე მაინც; ნეტავი ისეთი სიმძლავრე და ურთობის

უნარი შეგვრჩენოდეს, როგორც უწინდელ დარბაზში მცხოვ-
რებელ ქართველობასა ჰქონდა;

შევნატრით ანტონ: ნეტავი შენ, რომ ასე პირნათლათ
შეასრულე შენი წმიდა მოვალეობა საცვარელი სამშობლოსა
და ერის სამსახურისა. აქ ხომ დაუვიწყარი იქნება წმიდა
წყლის ქართველებში შენი ღიღებული სახელი და იქ, საიჭიოს
შენს გასასტაკებულს. სულს მიეგებება ზეციერი მამა და გნა-
ხავს რა, რომ ერთი და ორი ტალანტის მაგივრათ, რომელიც
მან ჩაგაბარა, შენ მიუტან შოყვასთა თავდადებული სამსახუ-
რით გამრავლებულს ათა და კიდევაც მეტს ტალანტს, გეტ-
ყვის სიხარულით: „კეთილო და ბეჯითო მუშავ! მცირედსა
ზედა სარწმუნო იყავ და მრავალსა ზედა დაგადგინებ. შენ-
მოვედ სიხარულსა მამისა შენისა, რომელიც გამზადებულ არს
შენთვის და შენისთანა კეთილ მუშავთათვის. დასიბამიდგან
ქვეყნისა“.

მაინც კიდევ შევევედროთ, ძმანო, უფალსა, რომ მან
აპატიოს ჩვენს დაუვიწყარს, სასიქადულო მამულიშვილს ან-
ტონს, ყოველივე შეცოდება და ნაკლულევანობა, რომელიც
ექნებოდა მას, როგორც ხორციელს ადამიანს მიუტევეს და
საუკუნო განსვენება მისცეს. შევავედროთ უფალს ჩვენი ბედ-
შავი თავი და სამშობლო ქვეყანა, ერი, რომ მრავალი მოგვ-
ცეს ამისთანა წმიდა მუშავი, სამშობლო ქვეყნის. და ერის
სიყვარულით გატაცებული და დაამკვიდროს ჩვენ შორის ერ-
თობა, ძმობა და სიყვარული, რომელიც საძირკველია ჩვენის
ბედნიერებისა და სამშობლო ქვეყნის ძლირება — აყვავებსა. ამინ-

ბლ. მდვდელი იროდიონ ოქროპირიძე.
— იმა უ კარგი ხასიათი და იმა სიციანი ხასიათი. მაგრა ასე და
არა არ გვიგება მათ იმა იტელიკი და მართლი და დაგ და
დაგ დაგ და
და და და და და და და და და და და და და და და და და და და
და
და
და და

ს ი ტ ე პ

წარმოთქმულ სათავად-აზნაურო ბანკში პანაშვილის და-
წყების წინეთ ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო
1913 წ. მაისის 4.

საყვარელნო სულიერნო შვილნო ჩემნო და ძენო. მრა-
ვალ-ტანჯულის ივერიისანო, ჩვენმა უკულმართმა ბედმან კი-
დევე მოგვაწოდა სავსე ფიალა სამსაულისა და აი ამ ექვს წელი-
წალში ხელიდგან გამოგვაცალა ყველა ის მოლვაწენი, რომელ-
თაც ვცნობდით „მესამოციანი წლების მოლვაწებათ“. ის მო-
ლვაწენი ჩვენშიაც, როგორც რუსეთში, ითვლებოდნენ იმ
შუქურ ვარსკვლავათ, რომელიც ბნელით მოფენისს ღამეში,
განთიაღის უამს, მიმათრქვევს იმ ბრწყინვალე სხივთა, რო-
მელნიცა აღუძრვენ კაცთა იმედსა უკეთესისაღმი და მიიყვანენ
ჭეშმარიტებისაღმი!

განსვენებული ანტონიც, კაცი მართალი, პირში მთქმე-
ლი, მამხილებელი. თვისის სამშობლოს ბედნიერების მოტრ-
ფიალე და ბეხავის თვისის ერის წინმსვლელობის მოლილნე,
სულ მუდამ იმ ცდაში იყო გართული, რომელიც შეეფერე-
ბოდა და ხელს მისცემდა მისს მისწრაფებასა. მისი მისწრაფება
იყო შესწავლა — სამშობლოს წარსულისა — ისტორიისა, რომ
თავიდან აეცდინა ის შეცდომილებანი, რომელნიც მისდევენ
სამშობლო ისტორიის შეუსწავლობასა და უცოდინარობასა-
გი ცდილობდა არ განმეორებულიყო ეს შეცდომა მომავალში.
ბევრთ განიზიარეს მისი ესე ვითარი მისწრაფება და დაეწაფნენ
კიდევ ამ მიმართულებასა. მივიწყებული სამშობლოს ისტორია
გახდა საგნათ შესწავლისა ახალგაზრდა თაობისთვის და მრა-

ვალთაც მათგან გამოიღეს ჯეროვანი ნაყოფი. მისის მისწრავებით გამსჭვალულნი და მიღრეკილნი იმ ლტოლვილებისადმი დღეს კეთილ მოღვაწეთ არიან ჩვენში ცნობილნი და ჯეროვანი ადგილი უჭირავთ ჩვენ მწერალთა შორის.

განსვენებულმა ანტონ ფურცელაძემ თვისის შრომა მოღვაწეობით ჯეროვანი პატივსაცემი ადგილი დაიჭირა ჩვენ მოღვაწეთა შორის და, როგორც შეუდრეკელი გუშაგი ქართველთა ცხოვრებისა, ერთგულად ემსახურებოდა ქართველთა საქმეს, სადაც კი მოუხდა მას სამსახური. მისი ბასრი კალამი ბევრს მოშეამულ ისრად დაპირის გულს, ბევრს უკულმართობას ჩვენის ცხოვრებისას შევხებია და აუკვნესებია მწარის ფიქრით მრავალთა გული; ბევრი მისი ნაწერებთაგანი—ისტორიულნი, თუ დამასურათებელ—გამომხატველნი ჩვენის ცხოვრების—წარსულისა, აწყობისა და მომავალისა, თითქმის ერთსა და იმავე დანანებას და შიშს იწვევენ იმ უკულმართობისას, რომელიც, ბედშავითი ყორნისავით, დასმხავის საქართველოს და ქართველობას წმ. თამარის შემდეგ—აქამომდე; უშლიდა და უშლის საქართველოს კეთილდღეობითს ცხოვრების მიღრეკილებასა; ქვა—კუთხედი მისწრაფება სიყვარული მამაპაპეულის შჯულისა და ქრისტეს მცნებისადმი, რომლითაც ქართველთ ელეოდა სიცოცხლეს და ეწირვებოდა, ვითარცა კრავი. შჯულისა და მამულისათვის სიკვდილი ქართველი კაცისათვის—ქორწილო იყო და სიხარული.

აი აქ არის მისწრაფება მის გმირთა; რომელნიც გამოხატული არიან მის ნაწარმოებში, რომელთაც (მის გმირთ) ფეხი დართო აღლო ქართველობამ, და ვერც ანტონი იცნეს თანამედროთა. ანტონიც დარჩა უცნობათ ისე, როგორათაც თვითეული მოღვაწე, თვითვეულის ერისა. თან ჩაიკლა გულში იმან ის, რის გაკეთებაც მან ვერ მოასწრო და მოახერხა. დრო არის, ჩვენც, ძმანო ქრისტეს მიერნო, განვიმსჭვალენეთ სიყვარულით მამაპაპეულის შჯულისადმი და თანახმად ქრისტეს მცნებისა მეღიდურსადმი—შევღყვაროთ ერთმანეთი და ვსცნათ

დავი თვისი, მოვაშოროთ მომავალ თაობას ურთიერთ გაუტან-
ლობა და უერთიერთობა, რომელიც ფვითეულ მოყვარს ყო-
ველის ერისას, უწყლავს გულსა და უშხამავს სიცოცხლეს.
შევევედროთ ღმერთსა, მიზეზსა მიზეზთასა, რათა მისცეს ჩვენ-
გან განპატიუებულს ანტონ ფურცელაძეს საუკუნოდ განსვენება
იქ, სადაც განისვენებენ მართალნი. ვილოცოთ სულით, გუ-
ლით და გონებით, რომ ჩვენი ლოცვა წარუდღვეს მას, ვი-
თარცა კვამლი სასაკმევლისა წინაშე ლვთისა ამინ.

თბილ წმ. სამების ეკლესიის მღვდ.

გასილ გრიგოლისძე ქარბელაშვილი.

1913. წ. 4 მაისი. სამების ეკლესიის და სამების ეკლესიის მღვდ.

„სახ. გაზ.“ დეკაზები *).

ქუჯაისი გულით ვსწუხვართ გამოჩენილ საზოგადო მო-
ლვაწის და მწერლის, დაუვიწყარ ანტონ ფურცელაძის დაკარ-
გვას, რომელმაც მთელი თავისი ძალ ღონე შეაღია. გულ
წრფელ მეგობრებით და გულ შემატკიცრებით ღარიბ სამშო-
ბლის კულტურის აღორძინებას. გადაეცით ჩვენი გულ
წრფელი სამძიმარი განსვენებულის ოჯახს.

თეკულია და გრიგოლ გველესიანები.

*) „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა უკ მდჯ ტელეგრამა.

„ სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა უკ მდჯ ტელეგრამა. უნდა
ამას მიერ და მომავალ თაობას ურთიერთ გაუტან-
ლობა და უერთიერთობა, რომელიც ფვითეულ მოყვარს ყო-
ველის ერისას, უწყლავს გულსა და უშხამავს სიცოცხლეს.
შევევედროთ ღმერთსა, მიზეზსა მიზეზთასა, რათა მისცეს ჩვენ-
გან განპატიუებულს ანტონ ფურცელაძეს საუკუნოდ განსვენება
იქ, სადაც განისვენებენ მართალნი. ვილოცოთ სულით, გუ-
ლით და გონებით, რომ ჩვენი ლოცვა წარუდღვეს მას, ვი-
თარცა კვამლი სასაკმევლისა წინაშე ლვთისა ამინ.

თუ იმათებრობს თუ იყვენები ეუცხოა ამ არა არა და
 თუ გა არა მარტინი არა კარტერი ბენდერი მაცეტე კი
 მიზანებით თუ რეზი მაცეტე მარტინი მარტინი
 უც უც უც უც არა არა არა არა არა არა არა არა არა
სი ტექ ბაზი, თორებაში იუცხა
 არა
თქმული ანტონნიკოკოლოზისძე ფურცელაძის დაკრძალვაზე

აპა, ესე რა მდებარე ვარ, საყვარელნო ძმანოჭ შორის
 ყოველთა დაღუმებული უხმოდ, ბაგენი ჩემნი უქმიქმნეს, და
 ენა დასცხრა, ხელნი და ფერხნი ჩემნი შეიკრნეს, და საცნო-
 ბელნი იცვალნეს, და თვალნი დაშროტეს და ვეღარა ხედავენ,
 რომელნი მგოდებენ მე, სასმენელთა აღარა ესმის, რომელნი
 მიგლოვენ დაღადებით.

ამ გულის საკლავის სიტყვებით მოვმართავს აწ განსვე-
 ნებული, დიდათ პატივცემული, და ჩვენის გულიდგან დაუცი-
 წარი ძმა ანტონი, ნუთუ მოიპოვება ვინმე საქართველოში,
 რომ ანტონის მშვენიერის ნაწერების კითხვით არ დამტკა-
 რიყოს? რამდენი დაჩაგრული და გაჭირვებაში მყოფი ადამია-
 ნის გულს დასდებია მალამოდ ანტონის მამობრივი ტებილი
 ენა და კეთილი მარჯვენა.

მაგრამ დღეს რას ვხედავთ, სტუმს ის მახვილი ენა, რო-
 მელიც მანუგეშებელის სიტყვებით გვითითებდა კეთილს გზის-
 კენ. აწ დაშრტენ ის თვალები, რომელნიც სდარგვობდნენ
 სამშობლოს კეთილ დღეობას, იმ მარჯვენეს, რომელიც ყო-
 ველ გაჭირვებულ ადამიანისათვის იყო გამზადებული — უმოძრა-
 ოდღა ვხედავთ.

ყოველივე გაპქრა ვითარც თივა და ყოველივე განილია,
 მაგრამ არა, ეს მხოლოდ სხეული გაპქრება ჩვენის საყვარელი
 მოძმე ანტონისა, სამაგიეროდ მისი ღვაწლი, მისი შრომა სა-
 უკუნოდ და საშვილიშვილოდ დაშთება.

მისი საყვარელი ღრმად პატივცემული გულ-მწუხარე მეულ

ლე, ძვირფასი შვილები, ყოველი ნათესავი და მეგობარი ცხა-
რე ცრემლს აფრქვევენ უძვირფასესის საუნჯისა და ყველა-
სათვის საყვარელის ნაშთის ზაკარგვის გამო, და უიმელობის
ნაღველ, გულზედ ცეცხლად ედებათ. და ეს კი ვერ გაუ-
თვალისწინებიათ მწუხარებისა გამო, რომ მუდამ გამამხნევე-
ბელი და მანუგეშებელი ანტონის სიტყვები კვლავ მჩგვანედებს
მისის ნიჭიერის სურათისაკენ, და მით უკვდავ ჭყოფს. მის სა-
ხელს, და ყოველ მწუხარე გულს წმიდა აიაზმად ეპურება.

მშვიდობით ჩვენო ტკბილი ძმაო და მეგობარო ანტონ,
შენ დასტოვე ჩვენს გულში დაუვიწყარი სიყვარული, ხოლო
ჩვენ მოგიძლვნით ლოცვა—კურთხევას მაღლი უფლისა იყოს
შენზედა ამინ:

მღ. გ. გვიმრაძე.

ანტონ ფურცელაძის ხსოვნას

ბნელის წყვიადით მოიცვა
სამშობლო აოხრებულნი...
უპატრონო და უმწეო
ქართველნი/ დაობლებულნი.
რით ვიამაყოთ, რაღა გვაქვს,
ჟველა წაგვართვეს სრულადა;
მონის ულელი დაგვადგეს
ჩვენ გულის დასაწყრულადა.
მტრებში ვერ გვძლიეს ვერაფრით,
არ შედრკა გული ლომისა,
ძალა წმინდა და ძლიერი
კვალ ფრიალებდა ძმობისა.
ქართველი თითონ ქართველებს
თვით უმზადებენ სამარეს!..
ჰქარგავენ წარსულ დიდებას?
სამშობლოც დაასამარეს...
შაგრამ იცოდეთ, რომ ქვეყნათ,
არ კვდება გმირი ძრიელი,
ისტორია ქმნის სიცოცხლეს
მისთვის ღელს გული წრფიელი.
და მისთვის წამებულ გუნდში
განლიე სული დიადი,
ჩაგრული მოძმე ერისთვის,
იყავ სათნო და ფრიადი.
შენ დაგვიტოვე ანდქრძათ
სოლიდარობა ძმობისა,

კაცობრიობის სალარო
მოყვასის თანაგრძნობისა,
ცოდნა აჯმართეთ ძრიელი
შურის წინაღმდევ მტრობისა,
შავისტელხორუოთ მუობადი
ერთურთის მეგობრობისა.
რომ გადუხადოთ ბოროტებს,
წყევა და კრულვა ძმობისა
ზე აღზღეს ჰეშმარიტება,
სიმართლე თანაგრძნობისა.
ძირს სილაჩრედა, სიმხდალე
მონური მათხოვრობისა.
გმირნი ვართ გმირათ დავრჩებით,
განქრენ დრო უთანხმობისა.
დიდება შენსა სხოვნასა
ჩვენო სამშობლოს ბეჭ—კარო.
ნება მიბოძე შენს ძევლთან
მწუხარეთ ცრემლი დავლვარო...
აინთოს წმინდა ლამპრათა,
ჩვენ გულშიც ცრემლის ნაკადი,
ზე აღვადგინოთ სამშობლო,
მრავალ ჭირ ვარამ ნახადი.

იაგ. ტეტუნაშვილი.

ანტონ ნიკოლოზისძე ფურცელაძე.

(ხმა ხელოსნისა).

ანტონ ნიკოლოზისძე ფურცელაძეს ყოფა ცხოვრებაში, როგორც კერძოი მე, ისე ბევრი სხვა ძველი მუშებიც კარგად იცნობდენ, როგორც თანა მედროვე მწერალს და ჩაგრულთა ჭირ ვარამის გამოშხატველს. ბევრი მუშა ხელოსანი პირადაც კარგად იცნობდენ ჯტონს და ახსომთ კიდეც მისი მამა-შვილური, როგორც სიტყვით ისე საქმით დარიგებ დახმარება. კერძოთ მე განსვენებული ანტონი გამაცნო ზ. ჭიჭინაძემ 1876 წელს. მაგრამ კარგად და დაახლოებით უფრო გამაცნო გოლი ჩიტაძემ. 1880 წელს, რომლის შემდეგ, მეც შხირად დავიარებოდი ანტონთან, სადაც არამც თუ ჩემთვის არამედ შრავალ ჩემისთანებისთვის ანტ. სახლის კარები მუდამ ლია იყო.

როგორც თითონ ისე მთელი მისი ოჯახობაც, ისე თავაზიანათ და მხიარულის გულით შიგვიღებდენ ხოლმე როგორათაც თავის შინაურს მოკეთე — ნათესავებსა, რა დროსაც გინდა მისულიყავით, დილით, შუადლისასა, თუ საღამოს, გინდა სძინებოდა, მაინც შისი სახლის კარები ლია იყო; შეხვიდოდი სახლში, და თუ შინ იყო, პირველად საღწმით თითონ მოგეგებოდათ, მიგიწვევდათ მაგიდასთან, მოგიჯდებოდათ გვერდით, და მამა-შვილურათ გესაუბრებოდათ, წორეთ იმ კილო ტებაზედ რაც შენს გულსა, და სულს ღრმათა სწვდებოდა, თუ საქმე გექნებოდათ რამე უსათუოთ შეგისრულებდა, თუ კი ეს შისგან მოსახერხებელი იქნებოდა, მას კაცთ-მოყვარეობას და პურადობას ხომ სამზღვარი არ ჰქონდა.

ერთი სიტყვით უჩაიოთ, უსაღილოთ და თუ უვახ შმოთ არასოდეს არ გამოგიშვებდათ, მე ისე ვიცნობდი მას და ისე

ვხედამდი მუდამაც, როგორც ჩაგრულთა მაშველ—მომხრეს. ამას მისი ნაწერებიც ამტკიცებენ, როგორც არიან ქიტესა, მაცი-ხვიტია, ავაზაკნი, მოურავი და სხვა მრავალი ნაწერები, რომლითაც მრავალნი მის დროის (ერთი თითონ მეც) კაის წიგნების კითხვით სულიერათ ვიკვებებოდით; და დღესაც ბევრი პატივითა და გულიანათ კითხულობენ ანტონის ნაწერებს. და ამით იყო რომ მის დროის მუშა ხელოსნები თვით ცნობიერებას ვდებულობდით, რომლის მეოხებითაც დაიბადა ახალ თაობის მუშები და ინტელეგენტნიც, ანტონის ნაწერებ-მავე ჩაგვახედა ახალსა და მომავლის ცხოვრების სარკეში, ან-ტონმა ხშირად იცოდა ხოლმე ასოციაცების შესახებ ლაპა-რაკი, ერთხელ ერთ ჯგუფ მუშებს დიდხანს გვესაუბრა, შულც—დელიჩის ამხანაგობაზედ და მიხაილოვის ასოციაცზედ.

სხვათა შორის მასთან ამ დროს იყვნენ სტუმრებათ: გე-რანალი კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი ლასხიშვილი და მრავალიც სხვები, რომლების თანა დასწრებით ანტონმა ბევრი რჩევა—დარიგების შემდეგ გვირჩევდა მუშებს. რომ შეგვედგინა სახელოსნო ამხანაგობა: სწორეთ მიზეზიც ეს კრება იყო, რომ ანტონის და გიორგი ლასხიშვილის დახმა-რებით ჟევადგინეთ დურგალთა ამხანაგობა და გავხსენით კიდეც მაღაიოვის კუნძულზედ; სადაც ანტონიც წევრად ჩაეწერა და მრავალი სხვა ინტელეგენტნიც ჩასწერა: სხვათა შორის ილია ჭავჭავაძე. გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილი. ეპისკოპოზი კირიონი და სხვებიც. ასე და ამ რიგად ცდილობდა რომ დაგ-ვხმარებოდა და გვეხმარებოდა კიდეც მუშებს: ამიტომაც დაუ-ვიწყარია მისი სახელი, და საშუალოთ მუშების გულში სახ-სოვრადაც დარჩება.

სტალარი მიხ. ჩოდრიშვილი.

დეპარატი გაზ. „ფიდრი“ *).

სარკეთი ფსიხო ნერვოლოგიური ინსტიტუტის ქართული სითვისტომო ღრმად დამწუხრებლია, ნიკიერი მწერლის, და-მოუკიდებელი საზოგადო მოღვაწის და დემოკრატიის ჭეშმა-რიტ მომხრის, ანტონ ფურცელაძის დაკარგვით, გამგეობის თავსმჯდომარე ლიბნელი.

*) დეპეშების რიცხვი 200 მეტია. ესენი მოთავსებულნი იქმნება მეორე წიგნში.

894.63.09

ቂ 551

ՑԱՆՑԵԱՀԵՒ

gañsweñeñbñllalv cñtraln nopyanllonçisñdø tññrçeñlañis ñeñsa-
këb ñeñrëd gñ ñigñi mñwalsñarñot ña ñaçbñpñdø.

ñeñdñg, aññ ñlñis taññeñd ña ñbñpñdø ñeñsa ñigñi, sñ-
daç mñtawysñbñllalv iñññeñda gañsweñeñbñllalv ñeñsañeñ ñeñrñi ñam
saññrñalñdñg pñññdø. aññ ñlñis ñaçbañdø ñeñdñg: tññ ñiñmñs
ñamñ ñeñs gañsweñeñbñllalv ñeñsañeñ ña ñeñrñiñlñ ña ñlñdñg ña ñ-
ñdñg ña ña ñigñi, ña ñigñiñlñ, ña ñigñiñlñ, ña ñigñiñlñ, ña ñigñiñlñ,
ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ,
ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ, ñigñiñlñ,

gaññmñpñ ñeñdñg: ፩. ፪. ፫.

ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi ñigñi